

საჩიტი გაფატი

№13 (652)
ოთხშაბათი
13 აპრილი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

მასამა მსოფლიო



იქნებ ვინმემ გამაგებინოს, რატომ ჰქვია ამ ომს რუსეთ-უკრაინის ომი, როცა ეს ომი, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, სადაც რუსეთი და დასავლეთის ქვეყნები უპირისპირდებიან ერთმანეთს!..



ვალერი გვერეცკი:

ეს ომი ორ-სამ თვეში თუ არ დაითავრდა, ევროპას, პირველ რიგში, მისი მოსახლეობა აუჯანყდება



ვაჟა შუბითიკა:

როცა დავინახავთ, რომ რუსეთს პულსი აღარ ესიჯება, მაშინ უნდა მივხედოთ აფხაზეთს და სხინვალს. მანამდე ხმა არ უნდა ამოვიღოთ...

ავნოდარას ბოძუები



ახალი ზღაპარი ბიძინა ივანიშვილის ატლანტიკურ ქონებაზედ

ავთანდილ არაბული: კიდევ ერთი 14 აპრილი



დავიცვათ სახელმწიფო ენა სახელმწიფო ენის დეპარტამენტისაგან



დაბრუნებული „პასაჟირი“



ვასილ დავითიას სიგარეტზე, რომლის დაღვენასაც 18 წელიწადი დასჭირდა

ვირო, გადღი!

გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ გამოქვეყნებული ანგარიშის საპაპრო კალენის თავდასხმების შედეგად დაღუპულთა შესახებ

ავსულთა სიგარეა

ამბავი რეალური და ირეალური „ხუნას“ შესახებ





ვახტანგ სარიკიძე:

ეს ამბავი ათიოდე დღის წინ მოხდა საქართველოს ერთ-ერთ სოფელში.

ქელების სუფრაზე თამადამ უკრაინის სადღეგრძელო შესთავაზა სუფრის წევრებს და მოუწოდა, ფეხზე ადგომით ეცათ პატივი მათი გმირული ბრძოლისთვის.

ერთი ქალბატონი არ თუ ვერ ადგა, რამაც სუფრის ხელმძღვანელის დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ქალბატონი უშვერი სიტყვებით გამოლაპარაკდა.

ქალბატონს ორი მამაკაცი გამოესარჩლა.

რას ჰქვია, გამოესარჩლეთო და თამადის ხელმძღვანელობით ეს ორი მამაკაცი მაგრად გალახეს.

გალახულებმა ახლობლებთან გადარეკეს და სულ მალე ფრონტის ხაზთან ოცკაციანი რაზმი მოვარდა, რომელმაც გამლახელები უმოწყალოდ სცემა.

ჩხუბს გამველე-გამოველეებიც შემოუერთდნენ და პოლიცია დროზე რომ არ მოსულიყო, ინციდენტი შეიძლებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის „სამოქალაქო ომში“ გადაზრდილიყო.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ქალბატონს, 84 წლის ცნობილ მეჩაიეს, სხვა არანაირი კავშირი არ ჰქონდა უკრაინასთან, გარდა ერთისა — ძალიან უყვარდა უკრაინული სალა, რომელსაც უკრაინაში სამუშაოდ წასული შეილიშვილი უგზავნიდა ხოლმე.

რაც იმ სოფელში მოხდა, იგივე ხდება დანარჩენ საქართველოშიც.

საქართველოც ერთი დიდი სოფელი გახდა თითქოს, სადაც ერთ მხარეს უკრაინული დროებით „შეიარაღებული“ ქართველები დგანან, უკრაინის ჰიმნს აგუგუნებენ და სადაც სისტემატურად ისმის გულმხურვალე მოწოდებები — სასწრაფოდ შეუერთდეთ სანქციებს და გაეხსნათ მთელი ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ.

მეორე მხარეს უდროშო ქართველები დგანან, რომლებსაც ასევე ძალიან უყვართ უკრაინელები, ძალიან შესტკივანთ გული მათზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან უყვართ საკუთარი სამშობლო, საქართველო და, პირველ რიგში, იმაზე ფიქრობენ, ჩვენ რომ აქ სანქციები გამოვუცხადოთ რუსებს და მეორე ფრონტიც რომ გავუხსნათ, ეს სასატიკო და დაუნდობელი რუსები ერთ დღეში მიწასთან გაასწორებენ მთელ ქვეყანას.

არც შემოსასვლელები და არც

მისამა მსოფლიო

იქნებ ვინმემ გამაგებინოს, რატომ ჰქვია ამ ომს რუსეთ-უკრაინის ომი, როცა ეს ომი, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, სადაც რუსეთი და დასავლეთის ქვეყნები უპირისპირდებიან ერთმანეთს!..

შემოსასვრელები არიან საიდანმე — შემოსულებიც არიან და შემოჭრილებიც, სამხედრო ბაზებიც აქვე, ჩვენსავე ტერიტორიაზე აქვთ გახსნილი და ყველა ამ „სიკეთებთან“ ერთად, ფაქტობრივად, ალყაში ვყავართ მოქცეული — მარჯვნივ გაიხედავ — რუსია, მარცხნივ გაიხედავ — რუსია, ზემოთ აიხედავ — რუსია, ზღვისკენ გააპარებ თვალს — იქაც რუსია.

ერთი ჰოპ და არ არის ეს შენი საქართველო.

კი, მაგრამ, ამით რა ხსნა და რა შევება უკრაინელებს? — ფიქრობენ ეს უდროშო ქართველები, მეორე მხრიდან კი მათი მისამართით „დროშაინების“ ლანძღვა-გინება ისმის: ფუჰ, თქვე შმიშრებო და ლაჩრებო, ომის გემინათ? რუსეთის მომხრეები ხართ თქვენ, პუტინის მოკავშირეები ხართ.

დღეს საქართველოში ასეა მიღებული — თუ საქართველოზე

სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების კრიტიკა, როცა ეს ხელისუფლება ხალხის მიერ არის არჩეული, მაინცდამაინც სწორი საქციელი არ არის, მაგრამ, როცა ეს სხვა ქვეყნის ხელისუფლება შენი ქვეყნის საქმეებში ერევა და თავს უფლებას აძლევს, ისე გელაპარაკოს, თითქოს მისი ქვეშევრდომი იყო, იძულებული ხდები, საკადრისი პასუხი გასცე.

მეგობარი ქვეყანაა უკრაინა, უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობასაც დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ერთი ხალხი და ქვეყანა, მეორე (და, ალბათ, მთავარი) ის არის, როგორ გექცევა ამ შენი მეგობარი ქვეყნისა და ხალხის ხელისუფლებამ.

უკრაინის ხელისუფლების სრული უპატივცემულობა საქართველოსადმი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა 2012 წლის არჩევ-

მხოლოდ ერთს: ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ის რომ გაეკეთებინა, რაც უკრაინამ საქართველოსაკადრა, საქართველო ალბათ დაუყოვნებლივ გაწვევტდა ასეთ სახელმწიფოსთან ყოველგვარ კავშირს, უკრაინის შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი მომხდარა, ამის მიზეზი კი საქართველოს ხელისუფლების უთავმოყვარეობასა და უპრინციპობაში კი არა, სულ სხვაგან არის საძიებელი.

საქართველო ურთიერთპარტნიორობისა და თანამშრომლობის იმ ვალდებულებით არის ხელფეხშეკრული, რომელიც დასავლეთმა ამ ორ სახელმწიფოს სავალდებულო ნორმად დაუწესა — უკრაინისა და საქართველოს ერთი მტერი ჰყავს — რუსეთი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიყოთ.

ამ „განაჩენიდან“, ამ „უღლიდან“ თავის დაღწევა რომ სცადოს,

საქართველოსთანაც დაპირისპირებაშია, იმდენად მტრული და აგრესიულია ის დაუსაბუთებელი, ფაქტობრივად, ჰაერიდან მოტანილი ბრალდებები, რომელსაც ზელენსკის გუნდის ხან ერთი წარმომადგენელი გამოისვრის საქართველოს მისამართით; ხან მეორე, ხან — მესამე.

რა უნდათ, რას გვემართლებიან?

რა უნდათ და მეორე ფრონტი უნდა გაეხსნათ თურმე, რომ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა, დანილოვმა, ბრძანა, რუსებს უკრაინელების ხოცვის გარდა, სხვა საქმეც გამოუჩნდეთ და უკრაინისთვის გამოყოფილი ბომბების მარაგის ნაწილი ჩვენ დავიყაროთ თავზე.

უფრო დიდი ცინიზმი არ მსმენია.

კიდევ უფრო გასაოცარია ის ამბავი, რომ ამ სიტყვების მთქმელი უშიშროების საბჭოს მდივანია.

უშიშროების საბჭოს მდივანია რომ ასეთი „ბრძენი“ გვერდება, ხომ წარმოგადგენიათ, უფრო დაბალ სტრუქტურებში რა გენიოსები ჰყავთ დასაქმებული, თუმცა სულ მალე მეორე ბრძენი, გვარად არისტოკრატული გამოჩნდა, რომელმაც ისეთი რაღაცები თქვა, მთელი მსოფლიო პირღია დატოვა.

ჩვენდა გასაკვირად, უკრაინის ხელისუფლება რაღაც ძალიან იოლად იმეტებს საკუთარ მოსახლეობს დიდი უბედურებისა და განსაცდელისთვის.

— ზელენსკი გმირია! ზელენსკი ნობელის პრემიაზე უნდა წავადგინოთ! — ხშირად ისმის ასეთი განცხადებები დასავლეთიდან.

კი, მაგრამ, რა დამსახურებისთვის უნდა წარადგინოთ ზელენსკი ნობელის პრემიაზე ან რატომ არის ეს კაცი გმირი? ნუთუ იმიტომ, რომ ვერ ააცილა თავის სახელმწიფოს ეს აპოკალიფსური ომი, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა თუ იმიტომ, რომ ნახევარი უკრაინა მიწასთან არის გასწორებული, ხოლო მილიონობით ადამიანი ქვეყნიდან გაქცევით ცდილობს, თავს უშველოს.

ეს არის გმირობა? ამისთვის ეკუთვნის ზელენსკის ნობელის პრემია?

პატივცემული უკრაინის ხელისუფლებაც, დანგრეულ და დაღეწილ ქალაქებს და სოფლებს რომ დასტირით, ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის ცხედრებს რომ დაჰქვითინებთ, ნუთუ ვერ გრძობთ თქვენს წილ პასუხისმგებლობას და თქვენს წილ დანაშაულს თქვენი არაპრაგმატული და არაგონივრული პოლიტიკის შედეგად, თქვენს სამშობლოს ომის გარდა, სხვა გამოსავალი, სხვა ალტერნატივარომ არ დაუტოვებთ?



ფიქრობ და დარდობ, თუ საქართველოს გამო სიფრთხილეს და წინდახედულებას იჩენ, ე. ი. რუსეთის მხარეს ხარ, ხოლო, თუ იმისთვის ხარ მზად, რომ ეს ქვეყანა დაუფიქრებლად და დაუნანებლად შეუგდო რუსული ტანკების მუხლურებს — პატრიოტი ხარ.

ამ უცნაური ლოგიკის მიხედვით, ჩვენ, ვინც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის „ფილიალის“ გახსნას, რადგან ვიცით, რომ ამით ქართული სახელმწიფო დაიდუპება, რუსეთის მომხრეები ვართ, სამაგიეროდ, ზელენსკი, სააკაშვილი, დეკანოიძე, დანილოვი, საბეიშვილი, გვარამია, კულება, ადვიშვილი, საყვარელიძე, არისტოვიჩი პატრიოტები არიან.

ვაზო სანაია გამომრჩა კინაღამ — სადაზვერვო „სვოდეკებს“ რომ გადასცემს დია ეთერში და საქართველოს რუსეთისთვის კონტრბანდული იარაღის მიწოდებაში რომ სდებს ბრალს.

ნებში დამარცხებული „ნაცმოძრაობის“ წევრებს, რომელთა შორის ბევრს მძიმე დანაშაულში ედებოდა ბრალი, ფართოდ გაუდო კარი და საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩამოურიგა.

ასე გაჩნდა მეორე „ნაცმოძრაობა“ უკრაინაში, თავის ბელადთან, სააკაშვილთან ერთად, რომელიც მალე ოდესის გუბერნატორი გახდა და თავისი „მანტრაპაც“ თან წაიყოლა.

სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის და ურთიერთპატივისცემის შემთხვევაში მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს, თუმცა უკრაინის ხელისუფლებამ სულ ცალ ფეხზე დაიკიდა ურთიერთობის დაწერილი თუ დაუწერილი ნორმები, მასთან ერთად, ფეხებზე დაიკიდა საქართველოს სამართლიანი პროტესტი და კრიმინალ ნაციონალებს სრული კარტლანში მისცა.

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ამბებია ეს და მათზე საუბარს აქ არ გავაგრძელებ, ვიტყვი



რუსეთი, ვიცით ჩვენ, ვინც არის, საკუთარ ზურგზე გვაქვს ნაწინები მისი შოლტის და მათ-რახის სიმწვავე, მაგრამ თქვენ ვინ ხართ, ბატონო ზელენსკი, ან ეს თქვენი „ინტერნაციონალური“ გუნდი რას წარმოადგენს და რას და ვის ემსახურება, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

ადრე თუ გვიან დამთავრდება ეს ომი და უკრაინელი ხალხი მოხდარს რომ გააანალიზებს, აუცილებლად მოსთხოვს პასუხს ბატონ ზელენსკის და მის თანამზარხველებს, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა.

სხვა მიზეზთა შორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ომი დაიწყო, ნატოში უკრაინის გაწევრიანების საკითხი იყო.

ომის დაწყებდან მცირე ხანში ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გამოვიდა და განაცხადა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი არც ახლა და არც ახლო მომავალში საერთოდ არ განიხილება.

ეს განცხადება, როგორც ვთქვით, ომის დაწყების შემდეგ გაკეთდა.

არადა, ომის დაწყებამდე რომ ეთქვა ბატონ იენსს ის, რაც ომის დაწყების შემდეგ თქვა, შეიძლება ეს ომი საერთოდ არ დაწყებულიყო.

არც ომის დაწყების შემდეგ გამოუჩინა დიდი აქტიურობა ნატოს. გამოდის, რომ უკრაინა ნატოზე ოცნებას შეეწირა, სადაც მის მიღებას არავინ არ აპირებდა თურმე.

— ცა მინც გადამიხურეთ, რომ რუსული ბომბები და რაკეტები თავზე არ გვაცვიოდესო, — დიდხანს იხვეწებოდა ზელენსკი, მაგრამ ბოლოს დაილაღა, ხვეწნამუდარას შეეშვა და ნატოს კრიტიკაზე გადავიდა.

ნატომ იმედები გაუცრუა უკრაინას, სამაგიეროდ, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები ამოუღებენ გვერდში და უხვად ამარაგებენ იარაღით.

— იარაღი, იარაღი და იარაღი! დანარჩენს ჩვენ მივხედავთო, — ამბობს კულება, იმის ნაცვლად, რომ მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა! იძახოს.

რომც იძახოს, არავინ აღირსებს მშვიდობას უკრაინას, რადგან ის რუსეთთან ომისთვის, რუსეთის გასანადგურებლად „დაქირავებული“ ქვეყანაა და ამ ომიდან გამოსვლის და „დუბურტირობის“ საშუალებას მას არავინ მისცემს.

— რუსეთ-უკრაინის ომი არ არის ეს, ეს არის რუსეთისა და დასავლეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც უკრაინელები ცოცხალ ძალად არის გამოყენებული, — ამბობენ ექსპერტები.

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, იგივე გააკეთონ საქართველოშიც — საქართველო რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების პოლიგონად აქციონ, ჩვენ, ქართველები კი საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ.

არ ღირს ამის გაკეთება — ჩვენ 46-მილიონიანი უკრაინა ხომ არ ვართ, სულ 4 მილიონამდე ვართ,



თანაც კაი გვარიანად ნაშინილავი და იმდენი რა ხორცი უნდა დაგვიკვდეს, რომ რუსეთს ერთ წაგვანებებლად მაინც ეყოს...

უკრაინელები ხშირად აჩვენებენ დანგრეულ ქალაქებს და სოფლებს, ქუჩაში უპატრონოდ დაფრთხილ ცხედრებს, უსახლკაროდ დარჩენილ სასოწარკვეთილ ადამიანებს, რომლებსაც ერთ დღეში დაენგრათ ცხოვრება და არ იცინა, რა ჰქნან.

— აი, რა საშინელებებს ჩადის რუსეთი... ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავს, — ამბობს ზელენსკი და ხელს რუსეთისკენ იშვერს, იმდენს კი ვერ ხვდება, რომ, რასაც ის აჩვენებს, ეს მისი უგუნური პოლიტიკის მხილებაა, მისი, როგორც პოლიტიკოსის, სრული კრახის ლუსტრაციაა.

ბატონო ზელენსკი, ხომ გაფრთხილებდნენ, რომ ეს საშინელება მოხდებოდა, ხომ წინასწარ იცოდით, რომ უკრაინის მიწაზე ეს ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა?

იცოდით, ყველაფერი იცოდით, ამიტომაც თქვენც თანამონაწილე ხართ იმ საშინელებებისა, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ისე, როგორც თანამონაწილეა ყველა, ვინც უკრაინას ომისკენ უბიძგებდა, ვინც დახმარებას, გვერდში დგომას პირდებოდა, ოღონდ რუსეთთან არავითარ კომპრომისზე არ წასულიყო.

ზელენსკიმაც ინსტრუქცია ზედმიწევნით კარგად შეასრულა, შედეგი კი, რომელიც ამ დაკვლების შესრულებას მოჰყვა, რუსული ბომბების სახით უკრაინელ ხალხს დაატყდა თავზე კომპარულ უბედურებად.

ზელენსკი... ზელენსკი... რას ავიკვიატე ეს ზელენსკი, ზელენსკიმ რომ გაბედოს და ომის შესაჩერებლად რაღაც დათმობებზე რომ წავიდეს, პირველსავე ხეზე ჩამოკიდებენ ფეხებით, მეზობელ ხეებზე კი კულუბას, არახამიას, დანილოვს, არისტოვიჩის ჩამოაკონწილებენ.

ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვითავს.

ფულს იხდის დასავლეთი და, ცხადია, „დამკვერლებმაც“ ის მუსიკა უნდა შეასრულონ, რასაც დამკვეთი უკვითავს, ამ მუსიკის შინაარსი კი, დაახლოებით, ასე-

თია: დავასუსტოთ, გავანადგუროთ რუსეთი! დიდება უკრაინას! უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს!

უკრაინა, ამ შემთხვევაში, დასავლეთის მეტსახელია, დიდება უკრაინას კი — სავალდებულო მისამღერი.

დასავლეთი, ჯერჯერობით, არ აზუსტებს, როგორ და რანაირად უნდა გაიმარჯვოს ამ ნახევრად დანგრეულმა უკრაინამ, ან როგორ უნდა განადგურდეს უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული რუსეთი, რომელსაც ბირთვული იარაღის ისეთი მარაგი აქვს, რომ მოინდომოს, მთელ მსოფლიოს ააფეთქებს.

ასე რომ, ამ ომში რუსეთის დამარცხება ისეთივე ბლეფია, რო-



გორც უკრაინის გამარჯვება.

თუმცა ამ ომს მაინც ეყოლება ერთი გამარჯვებული, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ერთი ფესვიდან ამოზრდილ ორ ერს, ფაქტობრივად, სისხლისმიერ ძმებს, ერთმანეთი ახოცინა, ამ ძმებს კი იმდენი ჭკუა არ ეყოთ, რომ დამსხვრდილენ და როგორც ძმებს შეჭფერის, ისე მოელაპარაკებინათ და რაღაც საერთო დასკვნამდე მისულიყვნენ.

— სლავები არიან, ერთი ჯიშის და ერთი ხორცის არიან და ასე როგორ იმეტებენ ერთმანეთს? — გვიკვირს ჩვენ, ქართველებს, ის კი არ გვახსოვს, ამ ოცდაათი-ოდე წლის წინათ, სწორედ ჩვენ, ქართველები, როგორ დავერიეთ ერთმანეთს და როგორი დაუნდობლობით და სისასტიკით გავუსწორდით ერთიმეორეს.

ომი ისეთი სატანური მოვლენაა და ისეთ მხეცურ ინსტიქტებს აღვიძებს ადამიანებში, რომ ადამიანად ყოფნას შეგაზიზღებს.

მთავარი უბედურების და მთავარი საშინელების მიზეზი არა რომელიმე ერის ბუნებასა და ეროვნულ ხასიათშია, არამედ ომშია, რომელიც, სინამდვილეში, სრული სიგიჟე და პარანოიაა, რომლისგანაც კაცობრიობა დღემდე ვერ განკურნებულა.

ომში ყველაზე დიდი ცოდვა — ადამიანის მოკვლა, ცოდვა და



დანაშაულად არ ითვლება, რადგან ომში ხარ, ომში კი მტერი გებრძვის, რომელსაც, ან უნდა დაასწრო და თვითონ უნდა მოკლა, ან ის დაგასწრებს და სიცოცხლეს გამოგასაღმებს.

ასე ხოცავენ ერთმანეთს ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთისთვის არაფერი დაუშვებიათ და არც ის ომი დაუწყიათ, რომელსაც ზვარაკად ეწირებინან.

ასე მოვიდა კაცობრიობა დღემდე, მოვიდა ერთმანეთის გვამებზე გადავლით, სისხლის მდინარეებით, ერთმანეთის გაუგონარი ხოცვა-ჟლეტით, სისასტიკით, წარმოუდგენელი ველურობით და ბარბაროზობით, კაცობრიობის ისტორია თავიდან ბოლომდე დიდი მკვლევლობების ისტორიაა, რომელსაც მემპრიატები გმირული ომების ისტორიას უწოდებენ, რადგან ასეა ეს ჩატვირთილი ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენი ცხოვრების წესში.

— ჩვენ, ცივილიზებულმა სამყარომ უნდა დავიცვათ უკრაინა აგრესორის ბარბაროზული ქმედე-



ბებისგან, — ლაღადებენ მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები.

რომელია ეს ცივილიზებული სამყარო? ის ხომ არა, რომელიც გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად იგივეს აკეთებდა, რასაც დღეს პუტინი აკეთებს?

ამ „ჰუმანური“ და „ცივილიზებული“ სამყაროს ბომბები არ იყო, გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად ისე რომ ხოცავდა ბავშვებს, ქალებს, მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც დღეს რუსული ბომბები ხოცავს?

„ცივილიზებულმა სამყარომ“ ფაშისტური ელემენტებიც გამოურია თავის განცხადებებში და, ლამის არის, დამნაშავედ მხოლოდ პუტინი კი არა, მთელი რუსი ერი წარმოაჩინოს.

ასე თუ ჩავვებით, რუსებზე ნაკლები დანაშაული არც ამერიკელებს აქვთ ჩადენილი, არც ინგლისელებს, არც თურქებს, არც ფრანგებს, არც არაბებს, არც გერმანელებს, არც სპარსელებს, არც მონღოლებს... ძალიან გრძელი სია გამოვა და ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.



ყველა ერს თავისი წილი ცოდვა უძიმებს მხრებს და არავინ არავისზე უკეთესი არ არის.

— თქვენ ოღონდ იომეთ და იარაღს არ მოგაკლებთ, — აიძულებენ ცივილიზებული სამყაროს ლიდერები უკრაინის ხელისუფლებას და ესენიც ძალიან ბედნიერები არიან, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ბაიდენის მიერ გამოგზავნილი ერთი რაკეტის ნაცვლად ორი ან სამი პუტინის რაკეტა დაუბრუნდებათ უკან „ზურდად“, რომელიც ისევე დაანგრევს მათ სოფლებს და ქალაქებს, ისევე დახოცავს მშვიდობიან მოსახლეობას.

მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებს მართლაც გულწრფელად თუ სურთ ამ შეშხარავი ომის შეჩერება, მაშინ სანქციებზე და შეიარაღების გაძლიერება-გაფართოებაზე კი არა, მშვიდობაზე უნდა ლაპარაკობდნენ და ყველა ხერხს და ყველა გზას უნდა ეძებდნენ, რომ ომი შეწყდეს.

ამისთვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, შეიკრიბოთ ეს ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები და კიდევ ერთხელ დაელაპარაკოთ პუტინს — რა უნდა? რას ერჩის ამ მომე უკრაინელ ხალხს? რას ითხოვს და რატომ ითხოვს იმას, რასაც ითხოვს? რამდენად სამართლიანია მისი პრეტენზიები? რაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში ხდება, საბჭოთა კავში-



რის დაშლის შემდეგ დატოვებულნი მემკვიდრეობის გამოძახილია, რომლის ავტორებიც ლენინი და ზრუშკოვი არიან.

როდის აქვთ გახდა დასავლეთი ლენინისა და ზრუშკოვის „ანდერძის“ აღმსრულებელი ნოტარიალური ბიურო, რომელიც მილიარდებს ხარჯავს იმისთვის, რომ ეს „ანდერძი“ როგორმე აღსრულდეს?

ვიცი, სულ ტყუილად დავხარჯე დრო და ენერჯია — დასავლეთი არც რუსეთს დაელაპარაკება და არც უკრაინას მისცემს საშუალებას, რუსეთთან რაიმეზე შეთანხმდეს.

წინ დონბასისა და დონეცკის სასაკლავო გველოდება და ყველანი გამალებული ეშხადებიან იმისთვის, რომ ამ სასაკლავოზე რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი დაიხოცოს, თითქოს ადამიანები კი არა პირუტყვები იყვნენ.

დაბოლოს, იქნებ, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ამ წერილით რუსეთს ვესარჩლები. არა, ნამდვილად არა, რუსეთს კი არა, უბედურებაში ჩავარდნილ უკრაინას და, რაც მთავარია, ჩემ სამშობლოს, საქართველოს ვესარჩლები, რომელსაც იგივე ხაფანგში უპირებენ მტყუუებს, სადაც უკრაინა შეიტყუეს...

ეს ომი ორ-სამ თვეში თუ არ დაითავრდა, ევროპას, პირველ რიგში, მისი მოსახლეობა აუჯანყდება



გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი გვცაძე:

— ბატონო ედიშერ, რუსეთ-უკრაინის ომიდან ორი თვე სრულდება. დღევანდელი გადმოსახედიდან, რა შეფასებას გააკეთებთ?


— ჩემი აზრით, მოვლენები ისე ვითარდება, როგორც გარკვეულმა მხარეებმა მიზნად დაისახეს. რუსეთ-უკრაინის ომისთვის ნი-ადაგი დიდი ხნის წინ მომზადდა. ამის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცოდა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, სამხრეთსა და ჩრდილოეთში. ანუ, აღნიშნული ომი იმის შედეგია, რაც გლობალურმა სამყარომ კაცობრიობას მოუტანა. ეს პროცესი 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 90-იან წლებში გაგრძელდა. ახლა, 21-ე საუკუნეა, მაგრამ ამ პროცესის დარეგულირება ისე მაინც ვერ მოხერხდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთიანი სისტემა ჩამოყალიბებულიყო, სადაც წითელი ხაზები გავლებული იქნებოდა. ჩემი აზრით, ომი, მაქსიმუმ, ორ-სამ თვეში უნდა დამთავრდეს.

— რა გაძლევთ ამ პროგნოზის გაკეთების საფუძველს?

— საფუძველს ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მძღვეს. დამერწმუნეთ, დასავლეთის მოსახლეობა დიდხანს ვერ მოითმენს იმას, რაც დღეს ხდება. მართალია, რუსეთს სანქციები დაუწესეს, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს დასავლეთზე არ მოქმედებს?! ნუ დაგვაიწყვდება, რომ რუსეთი, მთელი რიგი ევროპული ქვეყნ-

ბისთვის, ორგანული სასუქების ძირითადი მიმწოდებელია. ყოველივე, ბაზრის, პროდუქციის აუცილებელ გაძვირებას გამოიწვევს. შემდეგ, ბევრი ქარხანა გაჩერდება. ვიღაცებს საქმე მართლაც ჰგონიათ — სანქციებს დავაწესებ, რაც უცებ, იმოქმედებს და რუსეთი დაიშლებაო. არა, ბატონებო, ასე არ მოხდება, ვინაიდან საქმე სხვა რამეშია. მოდით, ამ პროცესს ჩავერთავთ: დიახ, დასავლეთმა რუსეთს სანქციები დაუწესა. დასავლელ ბიზნესმენებს რუსეთში უზარმაზარი ბიზნესები აქვთ, რაც ყველათვის კარგადაა ცნობილი. რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა თავისი ბაზრებითა და ნედლეულით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო გადასახადებზე დგას. ხომ ასეა? ვინ არიან გადასახადის გადამხდელები, მეწარმეები ხომ? მათ იმ დონის შემოსავალი თუ არ ექნათ, რაც ამ ომამდე დასავლეთში იყო, საიდან უნდა გადაიხადონ? ეს, აუცილებლად, დისპროპორციას გამოიწვევს, რაც უკვე მოხდა კიდევ. ყოველივე კი, სამწუხაროდ, ასახავს ხალხთა მასებში ჰპოვებს. შედეგად, დასავლეთში, ხელისუფლებების წინააღმდეგ, მასობრივი გამოსვლები დაიწყო. დამერწმუნეთ, ასე მოხდება. ამ საკითხს გერმანიის, საფრანგეთისა და უნგრეთის ხელისუფლებები სიფრთხილით ეკიდებიან. აბა, დააკვირდით, ომის თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, პორტუგალიამ ან საფრანგეთმა პროტესტი თუ გამოთქვა. იცით, რატომ? — ისინი, ძირითადად, განსაკუთრებით კი, ესპანეთი აგრარული ქვეყნებია. 80% რუსეთის სასუქებზეა დამოკიდებული, რაც სხვა რაღაცებზე დამოკიდებულებასაც იწვევს. ეს ჯაჭვური რეაქციაა, რაც ასახავს აუცილებლად ჰპოვებს. ამიტომ, ასე ადვილად ნურავინ წარმოიდგენს, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას დაამხოვენ. ეს არ მოხდება! ჩვენთან ბევრი გაიძახის: რუსეთი დაიშლებაო, მაგრამ თუ დაფიქრებულან ერთი ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე — რუსეთი თუ დაიშალა, ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკები სად წავლენ?! იქ, რა კონფესიებიცაა ან რა პროცესები მიმდინარეობს ხომ მშვენივრად მოგვე-

ხსენება. ამიტომ, ხალხო, ცოტა დაფიქრდეთ. ამ პროცესების ეკლექტიკურად განხილვა არ შეიძლება. რუსეთი ასე ადვილად არ დაიშლება. გარკვეულმა არასწორმა მიდგომებმა, ვხედავთ, უკრაინა რა დღეშიც ჩააგდო. მხედველობაში მაქვს შემდეგი: რა საჭირო იყო ამდენი ე.წ. ფერადი რევოლუციები, რაც უკრაინაში მოხდა?! ასეთმა რევოლუციებმა პოლიტიკური შარლატანები წინ წამოსწია. ამით, ვინ იხეირა? — რა თქმა უნდა, გარე ძალებმა. ხომ ხედავთ, უკრაინაში რა მდგომარეობაა. ყურადღება ერთ რამეს მიაქციეთ: ომი მიმდინარეობს, ათასობით ადამიანი იღუპება, 15 მილიონამდე პირი უკრაინიდან დევნილია, ამ დროს, რუსეთიდან ევროპისკენ გაზი მიედინება და საპირისპიროდ, იქედან, დოლარები მოდის. რაშია საქმე? განა, შესაძლებელი არ არის დადგინდეს ადგილმდებარეობა — ეს გაზი სად გადის?! უკრაინის ხელისუფლება ჩვენს პატარა საქართველოს ყოველ დილა-სადამოს გარკვეულ ბრალდებებს უყენებს. თუ მართლა ასეთი ვითარებაა, გაზი ხომ ევროპისკენ უკრაინის



ტერიტორიის გავლით გადის, მაშინ გადაკეტოს იგი და მერე, ნახავს დასავლეთისგან ტანკს მიიღებს, ზარბაზნს თუ თვითმფრინავს. ძნელი სათქმელია პროცესები როგორ განვითარდება. ასეა საქმე. როცა ევროპაში გერმანიის გაძლიერება მიმდინარეობდა, მის წინააღმდეგ ინგლისელებისა და ფრანგების 180 დივიზია უძრავად, უმოქმედოდ იდგა. ჩერჩილმა ამ მოვლენას უცნაური ომი უწოდა. ზუსტად ანალოგიური პროცესები განვითარდა, უკრაინაში, 80

წლის შემდეგ. დღეს, საინფორმაციო ტექნოლოგიები კი დაიხვეწა, მაგრამ ადამიანების აზროვნება იგივე დარჩა. ეს ხალხის გამოტვივების პროცესია, რაც სწორედ საინფორმაციო ტექნოლოგიების დამსახურებაა, რითაც მავანი სარგებლობს. არ გიკვირთ, ერთი, მეტად მნიშვნელოვანი პროცესი — სად გაქრა კოვიდ-პანდემია?! დიახ, გაქრა პანდემია და დაიწყო ომი. უნივერსიტეტში მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გვასწავლიდნენ. ბუნებაში არაფერი იკარგება. რაღაც ცუდადაა საქმე დანიის სამეფოში, რაღაც დალბაო — ხომ გახსოვთ შექსპირის „ჰამლეტიდან“. აი, ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა დღევანდელ მსოფლიოშიც. დიახ, დალბა მსოფლიო ნეო-ლიბერალისტული სისტემა, სადაც კაცი კაცს არ ჰგავს, ქალი — ქალს, გამეფებულია მარცვა, გლეჯა, ადამიანის კვლა. ღირებულებები, რაც პიროვნებას ადამიანად წარმოაჩენს, საერთოდ აღარ არსებობს. წარმოიდგინეთ, რა სიტუაციაა — მსოფლიოს ქვეყნების უმადლესი ხელისუფლებები ყურადღებას ვიღაც-ვიღაცების



უკანალზე ამახვილებენ, ასევე, როგორ შესძლო კაცმა მკერდის გადიდება და ა.შ. სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ისეთ ჩამოყალიბებაზე, რის მიხედვითაც მსოფლიო უსაფრთხო იქნება, არავინ საუბრობს. ჩნდება კითხვა: ხომ არ ახლოვდება აპოკალიფსი, რასაც ხელს თავად დღევანდელი გლობალისტური სამყარო უწყობს. არავინ წარმოიდგინოს, რომ აქ, ვინმე გადარჩება. არავითარ შემთხვევაში! აქ, ვერავინ გადარჩება, არამედ ყველა წაგებული დარჩება.

— ბატონო ედიშერ, მავანი საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს. რა მიზანს ემსახურება ყოველივე?

— ეს ხალხი ელემენტარულს არ ითვალისწინებს: უკრაინა 600 ათას კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, ჩვენ — 42 ათასზე. უკრაინაში 45 მილიონი მოსახლეა, ჩვენთან — 3,5 მილიონი. დიახ, ყველამ ვიცით, რა ძალები ცდილობენ საქართველოს ომში ჩართვას. საქართველოში არსებული და ასევე, აქედან უკრაინაში გაქცეული მეხუთე კოლონის მეშვეობით, ჩვენი ქვეყნის მიმართ, გაუგონარი ბრალდებები გაისმის.

ნახეთ, ხატია დეკანოიძის პირით, რა მოიმოქმედეს. იგი, უბრალო პეშკა, შემსრულებელია და მეტი არაფერი. დეკანოიძემ თქვა: შავი ზვრელის მეშვეობით, საქართველოდან იარაღი გადისო. ამით, ნი-ადაგი მოსინჯეს: თუ რა განწყობა ექნებოდა ქართველ ხალხს. ჩვენთან, გარკვეული პირები მოწოდებულნი არიან, რათა ეს თემა აიტაცონ. ამ პოლიტიკური შარლატანების მიერ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა შეცდენილი. ბოლოს, როცა პროტესტებით, აქციებით საქართველოში უბედურება ვერ გამოიწვიეს, საქმე შემდეგამდე მივიდა: უკრაინის უმადლესმა ხელისუფალმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ცილი დაგვწამა, თითქოს, საქართველოდან იარაღი გადის. საინტერესოა, ეს ხალხი რუკას თუ აკვირდება?! რატომ არ დაასახელა დანილოვმა, რომელი ქვეყნებიდან შემოდის საქართველოში იარაღი? ესეც ხომ საინტერესოა. ეს არის წმინდა წყლის რევოლუციური განწყობის შექმნა. უკრაინის ხელისუფლება მოწოდებულია, რათა აქ, ამ ნაძირალებთან — სააკაშვილთან, მეხუთე კოლონას-



თან ერთად, ქვეყანაში არეულობა მოაწიონ. ნაცებმა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, ყველა არჩევნები წააგეს. იმედი აქვთ, რომ ომს თუ გააჩაღებენ, 2024 წლის არჩევნებს მოიგებენ. ეს არ მოხდება! „ქართული ოცნების“ უდიდესი მიღწევა სწორედ ის არის, რომ იგი ერთადერთი ხელისუფლებაა, რომლის მმართველობის პერიოდში ქვეყანაში ომი არ ყოფილა. ამიტომ, ნაცები ყოველმხრივ ცდილობენ: ჩვენი ქვეყანა ნებისით თუ უნებლიედ, ომში ჩაერთოს და შემდეგ, ხელისუფლების ცვლილება მოხდეს — მათთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, ეს სისხლით მიიღწევა, ზარბაზნით თუ რით, მთავარია მიზანს მიაღწიონ და მერე, ქვეყანა წყალსაც წაუღია. პატარა კუნძულიც რომ დარჩეს, ცისკარიშვილები, დეკანოიძეები და სხვანი იქ დასახლებიან და ხალხს დატანჯავენ, სულს ამოაძრობენ. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ მათგანთან დებატი მქონდა, მოვიყვანე მაგალითი: ვინმე შამათავა, სასამართლოს გარეშე, ხალხს სამშობლოს მოლაღატედ რაცხავდა და ზვრეტდა-მეთქი. მოწინააღმდეგემ, ვინმე



როსა ღაპინასაჲთ, როგო რუსეთს პულსი აღარ ესინჯება, გაჲონ უნდა მიჲხედოთ აფხაზეთს და სხინვალს. განაჲღე ხეა არ უნდა აჲოჲილოთ...



გვესაუბრება პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამა შუბიძე.

— ბატონო ვაჟა, თქვენნი გადმოსახედინან, რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით, როგორ ვითარდება მოვლენები?

— ამ კითხვაზე საპასუხოდ, პირველ რიგში, მოდით, ცნობილი ამერიკელი პროფესორის სემუელ პანტინგტონის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება“ გავიხსენოთ, სადაც იგი წერს: განსხვავებულ ცივილიზაციათა წარმომად-

მთავარი მოტივაციაა. მაკიაველი ამბობდა: სამხედრო წარმატებას არამხოლოდ მიუვალნი ციხე-სიმაგრეები და ძლიერი არმია განაპირობებს, არამედ მოტივაცია — ეს არის პატრიოტიზმი და სულის დისციპლინა. ამ მხრივ, ეს ყოველივე აქვთ უკრაინელებს, რომლებიც საკუთარ სამშობლოს მშობლებს, შვილებს და ა.შ. იცავენ. ომმა იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, როგორც ჩანს, ხარვეზები ტრილოინებში გადავა. ზარალი მხოლოდ რუსეთს და უკრაინას როდი ადგება. ამ ომით ძალიან ბევრი ქვეყანა ზარალდება, მათ შორის, ისინიც, ვისაც სანქციები აქვთ დაწესებული. დღეს, საკითხი ასე დგას: ან ახლა, რუსებს შეაჩერებენ ან იგი ისევ მივა ბერლინში და ჩინეთთან ერთად თუ გაერთიანდება, შეიძლება, ამერიკის სანაპირომდეც მივიდეს. დასავლეთმა 14 წლის დაგვიანებით გააცნობიერა ამ ყველაფერს რა შეიძლება მოჰყვეს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დასავლეთს, ფაქტობრივად, არანაირი რეაქცია არ ჰქონია, მხოლოდ შეგვიცოდეს, მოგვეფერნენ, დაგვიყვავეს და მორჩა. მაშინ, არანაირი სანქციები არ დაწესებიათ, მომხდარის ანალოგი არ გაუკეთებიათ. მათ დასვენება არც მაშინ გამოუტანიათ, როცა რუსეთმა ყირიმი მიიერთა. თუმცა, მაშინ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთი ერთი ტრილიონი დოლარით

ეთვალისწინებით ის, რომ 200 ათასმა უკრაინელმა ლუგანსკსა და დონეცკში საბრძოლო გამოცდილება მიიღო, როცა რუსეთი იქ, შეიჭრა და რვა წლის მანძილზე საკმაოდ მნიშვნელოვან ომს აწარმოებდა. ამ ბრძოლაში, მაშინ 15 ათასი უკრაინელი ჯარისკაცი დაიღუპა, სამაგიეროდ, გადარჩენილებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. რუსეთს კი არანაირი გამოცდილება არ აქვს. საქართველოში ორდღიანი გასეირნებით, ფაქტობრივად, გამოცდილება არ მიუღიათ. რუსეთს, ამ ეტაპზე, უკრაინის პატარ-პატარა ტერიტორიები დაკავებული აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, ვერცერთი დიდი ქალაქი ვერ აიღო, მათ შორის, ვერც კიევი. სამწუხაროდ, ამ ორ მომე ქვეყანას შორის წმინდა იმპერიალისტურ ომს ვხედავთ.

— როგორ ფიქრობთ, რა ვითარება იქნება საქართველოში თუ რუსეთი ომს წააგებს ან პირიქით — მოიგებს?

— რა თქმა უნდა, საფრთხე არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი საფრთხე სააკაშვილის საკითხს უკავშირდება. იგი, საქართველოში, ოქტომბერში შემთხვევით არ ჩამოსულა. ამ ომის დაწყებას სწორედ ოქტომბერში ფიქრობდნენ, მაგრამ ამერიკელებმა ყველაფერი დაწვრილებით გაიგეს და ამიტომ ვადებმა გადაიწია. დაიხ, ერთ-ერთი ვარიანტი რის გამოც სააკაშვილი აქ ჩამოიყვანეს, მხოლოდ ის არ იყო, რომ არჩევნებში ნაცებს მეტი ხმა მიეღოთ, არამედ მიშა, კვლავ, ხელისუფლებაში მოეყვანათ. ანუ, გადატრიალების გზით, ხელისუფლების შეცვლა მომხდარიყო. შედეგად, როცა შეხედავდნენ, რომ უკრაინის ომში საქმე ცუდად ჰქონდათ, სააკაშვილს მახეს დაუგებდნენ,



კაშვილს 2008 წლის ომს გაუსხენებენ და კოსტუმები და ბოტოქსი კი არა, კოდორის, ახალგორის და სხვა ტერიტორიების ჩაბარებისთვის, შეიძლება, ციხეში 15-20 წლით გაუშვან. ვთქვათ, რუსეთი დამარცხდა. როგორი უნდა იყოს ჩვენი რეაქცია? — პირველ რიგში, საქართველოს მზად უნდა ჰქონდეს პაკეტი აფხაზეთისა და ცხინვალისთვის შესათავაზებლად. ეკონომიკური ვარდნა, დეფოლტი იმას მოწმობს, რომ რუსეთს საკუთარი მოსახლეობის შენახვა გაუჭირდება. ცხინვალის და აფხაზეთის რჩენა კი არა, შეიძლება ჩვენთვის შენახვაც გაუჭირდეს. იგი, კადიროვს და მის ხროვას ექვს მილიონ დოლარს უხდიდა, რათა რუსეთის შემადგენლობიდან არ გასულიყვნენ. ფაქტობრივად, რუსები ჩვენთვის ამისთვის ხარკს უხდის. თუ რუსეთი დამარცხდა, ჩვენ, შეგვიძლია სამხედრო ძალით დაკარგულ ტერიტორიებზე შევიდეთ და ომიც მოვიგოთ, მაგრამ ეს არაერთარ შემთხვევაში არ უნდა გავაკეთოთ, რადგან შერიგებისთვის ეს ნაბიჯი უკიდურესად წამგებიანია. ეს ტერიტორიები საქართველოს ფარგლებში მშვიდობიანად უნდა

წელიწადში აღარც აფხაზი დარჩება და აღარც ოსი. ისინი გარუსებული ადამიანები იქნებიან, რომლებიც არც რუსები იქნებიან და ოსობას და აფხაზობასაც დაკარგავენ. ამ ხალხს გადარჩენა სჭირდება და ჩვენ, ხელი უნდა გაუწყოლოთ, რათა აფხაზი და ოსი ძმები გადავარჩინოთ.

— თბილისი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ითხოვს, თან, რუსეთთან დაპირისპირებისკენ მოგვიწოდებს. ასე მოქცევა რამდენად მართებულია?

— ეს ოპოზიცია არ გახლავთ, არამედ კრემლისგან მართული მეხუთე კოლონაა, რომელიც სწორედ რუსეთიდან ფინანსდება, ლებულოს დავალებებს, მითითებებს და ა.შ. ისინი რუსულ ინტერესებს ემსახურებიან. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ნაცებს ვერაფერი მოუხერხა, პირიქით, სათანადო პირობებს უქმნიან. ალბათ, მათ უკუღმა უნდა ვუთხრათ: ხელი არ ახლოთ ნაცებს — ამ ოქრო ხალხს და იქნებ მერე მაინც მიხედონ. დაიხ, ნაცები მეხუთე კოლონაა, რომლებიც ნებისმიერ მომენტში მზად არიან, რათა რუსებს საქართველოში წინ შემოუძვინენ. თუ „ქართული ოცნება“ ნაცებს არ ჩამოგვაშორებს, ხალხი ორივეს თავის ადგილს მიუჩნის. ამკარა მოდულატებს ენის ჩლექვით არ უნდა ელაპარაკონ. მაგალითად, დეკანოზის ვაჟი, შარშან, ნარკოტიკების გასაღებაზე დაიჭირეს. ზუსტად, ორ დღეში ციხიდან გამოუშვეს მაშინ, როცა სხვას ამ დანაშაულისთვის 15 წელს მიუსჯიდნენ. რაშია საქმე?! აბა, ჩემს შვილს თუ გამოუშვებდნენ ორ დღეში მსგავსი რამ რომ ჩაედინა?! სამწუხაროდ, ჩვენ, კორუმპირებული მოსამართლეები გვყავს, რომელთაც კარნახობენ: ვის რამდენი წელი უნდა მიუსჯონ და ა.შ. არაფერი გვეღირსება, სანამ დამოუკიდებელი სასამართლო არ გვექნება. როცა ამას მივადწევთ, ვეროპელები პატივისცემით დაგვიწყნებენ.



გენერლ ერებსა და ჯგუფებს შორის მომხდარი კონფლიქტი, მომავალში უფრო ხშირი, ხანგრძლივი იქნება, ვიდრე ცივილიზაციათა შიგნით მომხდარი კონფლიქტი. იგი, ასევე, ამბობს: უკრაინასა და რუსებს შორის მომხდარი ომი არ იქნება ისეთი სისხლისმღვრელი, როგორც მაგალითად, რუსეთსა და ამერიკას შორის, ან ჩინეთსა და ამერიკას შორის. ანუ მონათესავე ერებს შორის არსებული ომი სასტიკი არ იქნება. თუმცა, ვხედავთ, რომ ეს თეზისი მცდარია და გადახედვას საჭიროებს. ანუ, სახეზეა სრულმასშტაბიანი, არაპროვოცირებული ომი. რუსეთს, ერთადერთი, ატომური იარაღი არ გამოუყენებია, სხვა ყველა საშუალება მოსინჯა. ერთმანეთს 400-ათასჯარისკაციანი ორი არმია ებრძვის, რაც ცხადყოფს, რომ დიდი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობს. ეს რესურსების ომია. მოგეხსენებათ, უკრაინა რუსეთთან შედარებით პატარა ქვეყანაა სამხედრო თუ სხვა ბუნებრივი რესურსებით. იგი, ყველა პარამეტრით 3-4-ჯერ წინ არის, ვიდრე უკრაინა. თუმცა, მისი დამარცხება გაუჭირდა. ეს ძალიან სიმპტომატურია იმიტომ, რომ ომში



აზარალა, მაგრამ მისმა ეკონომიკამ ეს აიტანა. ეს არ გახლდათ სერიოზული სანქციები. თუმცა, ამჟამად, დაწესებული სანქციები ნამდვილად ჯოჯოხეთურია. ამას ვერცერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს. ზოგადად, მსოფლიოს წინაშე ომის მოგება რთულია. ეს ვერ შეძლო ვერც ნაპოლეონმა, ვერც ჰიტლერმა და ვერც ტექნოლოგიურად, იდეოლოგიურად ჩამორჩენილი რუსეთი შეძლებს, რომელსაც გაფართოების გარდა, ქვეყნის განვითარების სხვა რესურსი არ გააჩნია. რესურსების — ნავთობის, გაზის, ოქროს უმოწყალო ექსპლუატაცია ხდება, როცა ამას გახარჯავენ, მერე, რა ხდება?! რუსეთი ტექნოლოგიებით 80% დასავლეთზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ დასაწყისშივე, მას ომი წაგებულ აქვს. მაგრამ მორიგი ცდუნებისგან თავი მაინც ვერ შეიკავებს, ყველაფერი სათანადოდ არ გათვალეს. პირველ რიგში, უნდა გა-



რათა იგი, ცხინვალში, აფხაზეთში შეჭრილიყო რასაც რუსები სათავესოდ გამოიყენებდნენ. შემდგომ, როცა უკრაინაში ოპერაციას დაასრულებდნენ, იტყოდნენ: საქართველომ ზურგიდან დანა ჩაგვარტყაო. ამ მიზეზით, აქ, შემოვიდოდნენ და დაგვაწიოკებდნენ. ეს ვარიანტი რუსების მიერ იყო გათვლილი. ამიტომ, სააკაშვილის ჩამოსვლა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. მისი ხელისუფლებაში დაბრუნება რუსების ამოცანა იყო, მაგრამ აშშ-მ ჩაშალა. თუ რუსეთი უკრაინის ომში დამარცხდება, რა თქმა უნდა, საა-



დაბრუნდეს. სხვა გზა მათაც არ აქვთ, რადგან თუ რუსეთმა გაიმარჯვა, აფხაზებს და ოსებს რუსეთის მუხლუხობის — ტანკების ქვეშ გასრესვა ელით. დღეს, მათი რუსიფიკაცია, სიმდიდრეებით სარგებლობა, უკვე, ღიად მიდის. ასე თუ გაგრძელდა, რამდენიმე



ეს ომი ორ-სამ თვეში თუ არ დამთავრდა, ევროპას, პირველ რიგში, მისი მოსახლეობა აუჯანყდება

← 4 გვ.

დავით ნებიერიძემ რომელიც კაცის მეტი ყველაფერია, მიპასუხა: მერე რა მოხდა, სამშობლოს მოღალატეებს სასამართლო რაში სჭირდებათ, მათ ვცვლავდით და კიდევ გავცვლავთო. აი, ეს არის ნაცების სახე. რამდენიმე წელია ამ ხალხთან დებატებში ვარ. დამერწმუნეთ, საერთო ენა ვერ გამოვინახე, ეს შეუძლებელია. ნაცები ნეო-ტროცისტების ახალი გამოყვანილი ჯიშია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ: ისინი წმინდა წელის ტროცისტები არიან. ტროცის მთელს მსოფლიოში პერმანენტული რევოლუცია სურდა. მისი სიტყვებია: 15 წლის ზევით ვინც არიან, ყველა უნდა დაეხრცოთ, ხოლო დანარჩენები კომუნისტური სულისკვეთებით აღვზარდოთო. სააკაშვილი უფრო შორს წავიდა, გავიხსენოთ, რა თქვა: 40 წელს ზემოთ, ეზოში ხეც არ მინდაო. ასეთი ხალხისგან ყოველ წამს უბედურება მოსალოდნელია. რა გააკეთა დეპუტატად წოდებულმა მამულაშვილმა — უფლებამოსილი კაცის ხელი გაართვა. წარმოგედგინათ, ესენი ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, რას იზამენ?! კამპურიაში 5 მილიონიდან სამ მილიონამდე მოსახლე იმსხვერპლეს — მათ მოწინააღმდეგეებს ყელი ნამგლებით გამოჭრეს. ნაცები მათი გამგრძობელი არიან. ისინი ისინი ხელისუფლებაში არიან. მათზე უარესი, არავინ შეგულებია. ბიძინა ივანიშვილმა, მათ, საშუალება არ მისცა ქვეყანა დაენგრიათ. 2012 წლის 1 ოქტომბერი რომ არ ყოფილიყო, დღეს, საქართველო მიწასთან იქნებოდა გასწორებული. პირველ რიგში, ამ პროცესში, თავისი სადამსჯელო რაზმებით, სააკაშვილი იქნებოდა ჩაბმული. მათ როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში, საერთაშორისო კორპორაციაში ერთი ხელმძღვანელი ჰყავთ. დაუკვირდით: როგორ ერთ ხმაში ლაპარაკობენ ნაცები და უკრაინის ხელისუფლება. არისტოკრატმა განცხადება გააკეთა: ჩვენ, ვიცოდით, ომი როდის დაიწყებოდაო, მაგრამ მოსახლეობა არ გავეყვანეთო. ხელისუფლებას ხომ მშვიდობის დაცვა ევალება. თუ ომის შესახებ ინფორმაცია გაქვს და სათანადო ზომებს არ იღებ, ამას რა პქვია?! პარალელი გაავლოთ 2008 წლის აგვისტოს ომთან — ნაცებიც იგივეს არ ამბობდნენ: საფრთხის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ცხინვალის ოსი მოსახლეობა არ გამოვიყვანეთო. ზუსტი ისტორიული პარალელია. „დათა თუთაშხაისი“ არ იყოს, ეს მაფიქრებინებს, რომ ამ მარიონეტებს ყველას ერთი უხილაკი ხელი ათამაშებს. ამის დასაწინააღმდეგებელი ლუპა საჭირო არ არის, ყველაფერი ცხადია.

— რას იტყვით, ზელენსკის აგრესიულ დამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის, ხელისუფლების მიმართ?
— ქართველი ხალხი უკრაინელ ხალხს

თანადგომას უცხადებს, მაგრამ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, რა განცხადებებსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ აკეთებენ, ყოველად მიუღებელია. ეს, საქართველოსადმი, პირდაპირ, მტრული დამოკიდებულებაა, რაშიც მათ აქაური ნეო-ტროცისტები ფულს უხდიან. პუტინზე რა ვილაპარაკო, როცა მასზე გაცილებით დიდი მტერი საკუთარ ქვეყანაში მეზუთე კოლონის ანუ, ომის პარტიის სახით გვყავს. ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს ღიბსუფლად უძკლავდება. ღიბსუფლად ვიღებთ ვეგვარს. ამ უპატრონო კაცს ქვეყანა უყვარს და მისთვის იღწვის. როცა ეს სიტუაცია დასრულდება, ქვეყანაში სააკაშვილის მიერ გაუქმებული სამშობლოს დალატის მუხლი უნდა აღდგეს. მეტი სამშობლოს დალატი რაღა გინდათ, რასაც ცისკარიშვილები, გუბაზ სანიკიძეები, დეკანოიძეები, ზოშტარიები ქვეყნის მიმართ სჩადიან.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ნაცები ყორღანაშვილებიც კი აღარ არიან. ყორღანაშვილი, მათთან შედარებით, ვაჟაკი იყო. მან, პირდაპირ, აღიარა, რაც ჩაიდინა. სამწუხაროდ, გუშინდელი ნაცები, დღეს თანამდებობებზე არიან, მაგრამ ამის გარჩევის დრო არაა. სისტემის მთავარი შემქმნელი — სააკაშვილი ციხეშია, ზოგი გაქცეულია და მართლმსაჯულებას მათზე, როგორც კრიმინალებზე, ძებნა აქვს გამოცხადებული. უკრაინის ხელისუფლება ამ კრიმინალებს როგორც ნაკრძალში, ისე ინახავს.

— ბატონო ედიშერ, როცა დამნაშავეზე ვსაუბრობთ, განა ის ვინც უკრაინას აგულიანებს და იარაღს აწვდის, თავად არ არის დამნაშავე? დასავლეთის მხრიდან რატომ არ იხმის მოწოდებები ომის შეცერებაზე?

— სისასტიკეს გამართლება არ აქვს. საჭიროა მშვიდობის დამყარება, რასაც მმართველი ძალები არ გააკეთებენ, თუ ისინი მსოფლიო საზოგადოებამ არ აიძულა. დიხს, მსოფლიოს ხალხებმა, თავისი აქტიურობით, ეს ძალები უნდა აიძულონ, რათა ომი ჩაქრეს. მაგანმა ჩვენი პრემიერის განცხადებაზე, საერთაშორისო სანქციების მნიშვნელობის შესახებ, ერთი ამბავი ატყუეს. რეალურად, ამ სანქციებს, აბსოლუტურად, არაფერი შედეგი არ მოჰყოლია. ნაციონალ პოლიტმარლატანებს ამის გაგება არ უნდათ. ვიმეორებ, ერთადერთი ძალა მსოფლიოს ხალხებია, რომლებიც ადრე თუ გვიან ამ მტაცებლური ომის წინააღმდეგ გამოვლენ, რათა ფლუტა შეჩერდეს. დედამიწაზე ანტიქრისტე ბატონობს. იარაღის მიწოდება კი არ უნდა, არამედ დასხდნენ და გაარკვიონ: როგორ მიმდინარეობს მსოფლიოს გადანაწილების პროცესი. მსხვერპლი, უკვე საკმარისზე მეტია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

როცა დავინახავთ, რომ რუსეთს პულსი აღარ ეხიწება, მაშინ უნდა ვიხელოთ აფხაზეთს და ცხინვალს. ანაბლა ხმა არ უნდა ამოვიღოთ...

← 5 გვ.

— დანილოვის განცხადებაზე რას იტყვით, რომელმაც მოგვიწოდა: აქ, მეორე ფრონტის გახსნით უკრაინას დავეხმაროთ?

— ამას წინათ, ამერიკის ელჩმა თქვა: დღეს, უკრაინისა და საქართველოს დაპირისპირება, ერთადერთი, რუსებს აწვობთო. დანილოვის განცხადება ან სასოწარკვეთილების ან შორს მიმავალი გეგმების შედეგია. რა თქმა უნდა, საქართველო, ექსკლუზიურად, რუსეთის მიერ 30 წელი ისჯებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წელია რუსეთისგან დასჯის საგანი მხოლოდ ჩვენ ვიყავით, სხვა — არავინ. დღეს, ეს პერიოდი დამთავრდა. ახლა, უკრაინის სახით, უფრო მნიშვნელოვანი დასასჯელი ობიექტი ნახეს. ჩვენ, გვეყო რაც დავისაჯვით, გავანადგურდით, რამდენი მსხვერპლი გავიღეთ. ვინ დაგვეხმარა მაშინ? — კი ბატონო, უკრაინა აფხაზეთის ომში გვეხმარებოდა, მაგრამ რაც მან მაშინ გაგვიკეთა, ჩვენ, ასმაგად დაუბრუნეთ რიგი დახმარებებით, გვერდში დგომით, ბევრი ჩვენც არაფერი გვაქვს, მაგრამ მაინც მოვიკვლით და ლტოლვილები მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში, დღეს, ორი ათასი ქართველი იბრძვის უკრაინაში. ასევე, გაეროში, სასამართლოებში მხარი დაუჭირეთ. მეტს ვერაფერ მოითხოვს, არც უფლება აქვთ რამე მოგვთხოვონ. რაც შეეხება დანილოვის განცხადებას, მესმის, რომ თავს უბედუ-

ომი შესაძლებლობების ფანჯარაა, რასაც ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდით. ანუ, საქართველოს შანსი ეძლევა ტერიტორიულად გაერთიანდეს. ეს, ამ წლის ბოლომდე მოხდება. საქართველოს წარმატება, ყოველთვის, დიდ გეო-პოლიტიკურ ცვლილებებზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, როცა ფარნავაზმა ქართლის სამეფო შექმნა, ეს მაკედონელის იმპერიის დაშლის შედეგი იყო. ასევე, როცა მე-8, მე-9 საუკუნეებში ქართული ფეოდალური სახელმწიფოები წარმოიქმნენ, ეს არაბების დასუსტებამ გამოიწვია. შემდეგ, როცა 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, აღმასრულებელმა ხარაჯა სწორედ მაშინ შეუწყვიტა და შეუტია. 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში რუსეთი დამარცხდა. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამოუკიდებელი გაგხდით. ჩემი აზრით, ერთ წელიწადში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყველა პირობა შეიქმნება.

— ბატონო ვაჟა, ზელენსკიმ მადლიერება გამოხატა თურქეთის, ლეიტუვას ელჩების უკრაინაში დაბრუნების გამო. ჩვენს ელჩს უკრაინა მწვავე ომის დროსაც კი არ დაუტოვებია, მაგრამ იგი, ჩვენი მანც უკმაყოფილოა. ყოველივე, რაზე მიუთითებს?

— საბოლოო ჯამში, არაფერი იმალება, ყველაფერი გაიშიფრება. ზელენსკის, წესით, საქართველოს საკრიტიკოდ არ უნდა ეცალოს. ქვეყანას რომელიც ყო-



რება დაგატყდა, მაგრამ რატომ გინდა მეც უბედური გავხდე! ჩვენ მათ ვეხმარებით და ეს, უკვე, ნიშნავს, რომ ომში ვართ. ომი მხოლოდ თოფის სროლა არ არის. რასაც საქართველო უკრაინას ეხმარება, ეს არანაკლებია, ვიდრე თოფის სროლა ან იარაღის მიწოდება. რუსები არსად წასულან. ერთადერთი როცა რუსეთში რევოლუცია მოხდა, ჯარი მაშინ გაიყვანეს, მერე, ისევ შემოვიდნენ და მას მერე, არსად წასულან. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. როცა დავინახავთ, რომ რუსეთს პულსი აღარ ესინჯება, მერე უნდა მივხედოთ ცხინვალს და აფხაზეთს, მანამდე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. მკვდარი ლომიც საშიშია.

დღეს, ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს რომ ებრძვის, ეს რუსეთის დიპლომატიის კატასტროფული მარცხი გახლავთ. ანუ, დასავლეთმა დიპლომატიით აჯობა — ორი სლაკური ქვეყანა ერთმანეთს დააჯახა. ამიტომ, რუსს ტვინი, ჭკუა უნდა ჰყოფნოდა, რათა ეს არ მომხდარიყო და თუნდაც, ეკონომიკური კუთხით, უკრაინა უომრად დაეკავებინა. უკრაინელ ხალხს გულწრფელად უსამძიმრებ, მაგრამ ჩვენთვის, ეს

ველნაირად შენს გვერდით დგას, უსამართლოდ გული არ უნდა ატყინო. ქართველი ხალხი უკრაინას გულწრფელად ეხმარება. ზელენსკის საქციელს გამართლება არ აქვს. მალე უკრაინაში არჩევნებია. ენახოთ, რა რეიტინგი ექნება იმ დროისთვის. შეიძლება, ხალხმა აღარც კი აიჩიოს. ზელენსკის, ომის დაწყებამდე, ხელისუფლებაში ყოფნისას, ფაქტია, მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, უკრაინელი ხალხი მას ავიწყებდა, რეიტინგი საერთოდ არ გააჩნდა. ომმა მისი რეიტინგი ასწია, მაგრამ მისი დასრულების მერე, როგორ გაუძღვება იგი ქვეყანას, როგორ აღადგენს ეკონომიკას, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მათ შორის, რეიტინგიც.

როგორც ჩანს, ზელენსკი, ომის დაწყებამდე, რუსებს წინააღმდეგობას ვერ უწყევდა და ნაცები მაღალ თანამდებობებზე დანიშნა. ამჯერად, ზელენსკის ამერიკელები უფლებას არ მისცემენ როგორც უკრაინის, ისე საქართველოს ინტერესები დააზიანოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

2022 წელი, აპრილის პირველი შაბათი. მეთუთუნე ჭუჭუნა უბორნი-აში (რატომლაც ტელევიზიას რომ ეძახიან) მენდარედ მომუშავე ავმა (შავმა) ნოდარამ კიდევ ერთი რა-ღაცნაირი ზღაპარი გააძრო. მოქმედება აშშ-ის შტატ ფლორიდაში, კერძოდ, ატლანტის ოკეანის მიმდებარედ, მანლაპანას სანაპიროზე მიმდინარეობს.

მძიმე მუსიკა... სპეცფეგეტები... შავი ფონი... ჩანებლებული კადრები!

ფუფუურრრრრალისტის მტკიცე-ბით, მანლაპანას სანაპირო ისეთია, დედამიწაზე მსგავსს ვერ ნახავთ. აქ სულ 107 მილიონერი და მილი-არდერი ოჯახი ცხოვრობს. მათგან ერთ-ერთი ბიძინა ივანიშვილია.

თუმცა! ბატონი ბიძინა იქ არ ცხოვრობს, სახლის აშენება ვერ მოას-

მოკლედ, ავნიდარას ზღაპარს ექსპერტული „გამაგრება“ ხომ უნდა? გამოიყვანეს თინა ხიდაშელი (უსუფაშვილის ცოლი) და ათქმეინეს ავეგეთი რაღაცა: „როცა საქმეში ჩანს გიორგი ბაჩიაშვილი, ჩემთვის ერთმნიშვნელოვნად ეს არის გასაკეები“.

აქ კომენტარი წყდება, ალბათ იფიქრეს, მეტი არ არის საჭირო. რა არის ხიდაშელისთვის ერთმნიშვნელოვნად გასაკეები, რა შუაშია ბაჩიაშვილი ივანიშვილთან, ამაზე ხიდაშელი არაფერს ამბობს. არ ვიცი, შეიძლება ამბობს კიდევაც, მაგრამ ჩემი ფეხები, სიუჟეტში არ ჩანს.

შემდეგ გამოიყვანეს ბათუ ქუთელია, გავარჯერებული „ნაცი“, მობარშულ თევზს რომ მიუგავს ჰაბიტუსი. ამან მთლად მახლო რაღაცები მოხია, ივანიშვილის ქონება ბოლომდე ივანიშვილისა არ არი, ის პუტინის ოლიგარქიული სისტემის ნაწილია და მის განკარგვაშიც თავისი როლი და ფუნქცია აქვს მინიჭებული: „აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, რუსული ოპერაციის ნაწილია, ან სანქციებს დაემართა, ან რაღაცა თანხა მინიც გადაარჩინონ. ივანიშვილს არ აქვს იახტა, რომ დაუყვადლონ, მაგრამ როგორც ჩანს, აქვს აქტი-



ავნიდარას ბოდვები

ახალი ზღაპარი ბიძინა ივანიშვილის ატლანტიკურ ქონებაზე



წრო. მას (სავარაუდოდ) ჰქონდა მიწის ნაკვეთი, მაგრამ (სავარაუდოდ) 2020 წელს 17 მილიონ დოლარად გაყიდა. მერე რა, რომ ის არსად, არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, არ ფიქსირდება, მინიც იგულისხმება. თურმე არის ვინმე გიორგი ბაჩიაშვილი, რომელიც (სავარაუდოდ) იცნობს ბიძინა ივანიშვილს და რაკი იცნობს, ესე იგი, იმან გაყიდა ამისი ქონება. ამ ქონებას ახალი მეპატრონე გამოუნდა 2020 წელს, მანამდე რომელიღაცა კომპანია ფლობდა („მონიკა საუნდბლიტედი“), სადაც დაფიქსირებულნი იყვნენ იგივე გიორგი ბაჩიაშვილი, ქეთევან ცხადაძე და ლაშა ბაქრაძე.

ესე იგი... განაგრძობს სიუჟეტის წამყვან-გამკეთებელი ბოხ-ხიანი ქალი, რომელიც ძალიან ჭარბად ხმარობს ლაჟღაჟა პომადას, - რათ გაყიდა ივანიშვილმა ანალაუპუს კი არა და... მანლაპანას სანაპიროზე მიწის ნაკვეთი, როცა ფასი ყოველდღიურად იზრდება? როცა ანალაუპუს კი არა და... მანლაპანას სანაპიროს ერთ მხარეს ოკეანე აკრავს, მეორე მხარეს კიდევ ვერა?

შემდეგ გამოიყვანეს მიხეილ მაჭავარიანის ძმა, ვანო მაჭავარიანი, რომელიც ბოლო დროს ხშირად გამოჰყავთ ტელევიზორში, ალაპარაკებენ, მაგრამ ისე მონოტონურად ვება რაღაცებს, ძალიანაც რომ მოინდომოთ, შინაარსს ვერ გამოიტანთ. ვინ არი, რა უნდა, რატომ ბუტბუტებს, ვერ გაიგებთ, შეიძლება იმასაც ვერ მიხვდეთ, ვისი ძმა არი.

ჯერ ბოდავს, ტრანზაქცია 2004-ში განხორციელდაო, მერე იმახის, ივანიშვილმა კაპიტალი 2020 წელს იმითომ გაასხვისა, აშშ-ის სენატში სანქციების დაწესებას ითხოვდნენო. ვის წინააღმდეგ ითხოვდნენ აშშ-ის სენატში სანქციებს, ივანიშვილის წინააღმდეგ? თუ არც ვცდები, ერთი-ორმა მოსყიდულმა კონგრესმენმა რაღაცები მობოდა, მაგრამ ეს იყო კერძო სურვილები. ვანო მაჭავარიანის არეულ-დარეული დაუთრების თანახმად, ბიძინა ივანიშვილმა 2004-ში ტრანზაქცია იმითომ განხორციელა და 2020 წელს კაპიტალი იმითომ გაასხვისა, რომ შეეშინდა, 2022 წლის 24 თებერვალს პუტინი უკრაინაში ომს რომ დაიწყო, ემანდ სანქციები მეც არ დამიწესონო. ახლა არ დაიწყოთ, ივანიშვილმა პუტინის გეგმებისა რა იცოდა? იცოდა, ავი ნოდარა ამტკიცებს, ბიძინა პუტინის მონა კი არის, მაგრამ ის ამას მინიც ვეგლავფერს ეუბნებაო.

ვები, რომელიც შეიძლება ამ იმამი მოხვდეს.“

სიუჟეტის წამყვანმა ფუფუურრრალისტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთ „უჭვმიტანილს“, ქეთევან ცხადაძეს მიაკითხა. ვერ იპოვა. კარზე აკაკუნა, იბოდილა, ხან ვის ჰკითხა, ხან ვის. ზოგმა მხრები აიჩჩა, ზოგმა თავი გადააქნია, არ ვიცით, აზრზე არა ვართო. ფუფუურრრალისტმა მანიც დაასკვნა, ის ნაკვეთი სავარაუდოდ ივანიშვილისა იყო, სანქციებისა შეეშინდა და გაყიდაო... სამწუხაროდ, იახტა არ ჰქონია, თორემ მაგასაც წაართმევდნენო. არაუშავს, ოდესღაც იყიდის, ექნება, წაართმევენ და ძალზედ გავიხარებთო. არა, მთლად ეგრე არ უთქვამთ, მაგრამ ივანიშვილის დასჯის ზეამადი თითოეულ სიტყვაში გამოსჭვიოდა. ვიღაცა გამოიყვანეს, საშუალო ასაკისა, გარეგნულად კაცს ჰგავდა, არც გვარი უთქვამთ, არც სახელი. მე არ ვიცნობ, არ მინახავს... შეიძლება მინახავს კიდევაც, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? ამ უცნობმა „ნაცმა“ დამაჯერებელი გამომეტყველებით განაცხადა, დიდი ალბათობით ეს ივანიშვილის ქონება იქნებოდა იმითომ, რომ თანაინვესტირების ფონდში არ ჩარიცხულა ივანიშვილის აქტივები. რა თანაინვესტირების ფონდი, რომელი ივანიშვილის აქტივები, ვე საერთოდ ერთმანეთთან რა კავშირშია? რა ბიძინა, რი მათე, ქალო?

ამან, ამ უცნობმა განაგრძო, რასაც გიორგი ბაჩიაშვილი ფლობს, როგორც წესი, ეს არის ივანიშვილის ქონებაო. წარმოგიდგინათ? ე.წ. ექსპერტების მტკიცებით, რასაც ბაჩიაშვილი ფლობს, ეკუთვნის

ბიძინა ივანიშვილს და რასაც ბიძინა ივანიშვილი ფლობს, ეკუთვნის ვალოდა პუტინის, ვალოდა ჟირინოვსკი მოკვდა, იმას ოთხი ფიცრის გარდა აღარაფერი ეკუთვნის. ხედავთ, როგორ მივივით არის აკინძული ეს ცხოვრება? მეტიც... თუ ავნიდარას თეორემას მივყვებით, აუცილებლად გადავევრებით პროექტს - „რამ შეჭამა ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი“!

უკეთესად ავიხსნით: სქემა იგევა, როგორც „თხა და ვენახში“... პუტინმა ბიძინას, ბიძინამ ბაჩიაშვილს, ბაჩიაშვილმა ცხადაძეს, ცხადაძემ იმას, იმან - ამას, ამან - იმას და „კაროჩე“, ამათ ისეთი ულოგიკო აზროვნება აქვთ, თვეობით ტვინი რომ იჭყლიტოთ, ზუსტად ვერ გაიგებთ, რაზე მსჯელობენ.

მორჩენენ სიუჟეტს, მორჩენენ ლაი-ლაის, გავიდნენ ბოლოში, უცნობ მოლაქლაქეს ათქმეინეს, ჯო ბაიდენმა სპეციალური საგამომიებო სამსახური შექმნა, თუ გადამაღულ დოკუმენტებში ბიძინა ივანიშვილიც აღმოჩნდება, შესაძლოა, ეგეც დაასანქცირონო. სიტყვა „დასანქცირება“ ახალი ხილია ლიბერალური მიმართულების ე.წ. მედიასა და არასამთავრობო სექტორში. ამ გაფუჭებულების კისერზე ხომ არაერთი დამახინჯებული სიტყვის წარმოქმნა და შემდეგ საზოგადოებაში ჩანერგვა? მაგალითად: „დალორგანიზება“, „ტრენდი“, „ფეშენი“, „ფასილიტატორი“ და ასე შემდეგ, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ჰოდა, იმას ვამბობდი... თუ ბაიდენის საგამომიებო სამსახურმა გადამაღულ დოკუმენტებში ბიძინა ივანიშვილიც აღმოჩინა, ოოო, ტა-ტა-ტააააა, მერე ნახამთ თქვენა

დასანქცირებას!

ისევე მძიმე მუსიკა... ატლანტის ოკეანე... ანალაუპუს სანაპირო კი არა, მანლაპანას სანაპირო... ულამაზესი ხედები, პალმები, ქვიშა, მდიდრული სახლები... თურმე ერთი პატარა სახლი 29 მილიონზე ნაკლები არ ღირს, თან ყოველდღე ძვირდება. რომ არა „დასანქცირების“ შიში, 2020 წელს ივანიშვილი აქ ნაკვეთს არ გაყიდა. მართალია, მისი ინტერესი არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, მაგრამ რაკი თინა „მალომ“ თქვა, „ზნაჩიტ“, სადაც ბუდეა. თინა იმახის, ეგეთ საკითხებში მაგრად ვერკვევი, რაც მე ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ფულით მივიღია და ლობისტები მიძებნია, იმდენჯერ თქვენ არ გივლიათ ნავთლულის ბაზარშიო. არა, ზუსტად ეგრე არ უთქვამს, მაგრამ მის დიდრონ თვალებში ეს უცილობლად იკითხებოდა.

ავი ნოდარა კმაყოფილი დარჩა... კულისებში (ალბათ) ინვა გრიგოლია ცმუკავდა და მას უმტკიცებდა, მსოფლიოში ყველაზე მაგარი ნიუსმეიკერი ხარო. ასეთი პროფესია არ არსებობს, მაგრამ რაკი ევროპული ჟურნალისტიკის ბებიამ ბრძანა, წვეთი არ გაუვა, ეგრეა. ამ ბობენ, ჭუჭულეკსაც გახარებულა, უახლოეს ხანში ბიძინა ივანიშვილს აუცილებლად „დასანქცირებენო“, ჯო ბაიდენმა სწორედ მაგის გამო შექმნა საგამომიებო სამსახური... ის ამბობს პუტინის და გულისხმობს ივანიშვილის... ვენახი თხამ კი შეჭამა, მაგრამ თოფმა რომ თხა იმსხვერპლა, ხომ არ დაგავიწყდათ?

გელა ზამდელაშვილი
555 48 48 61



უკრაინის გ. ლორთქიფანიძის სახელობის სახელმწიფო დაზვერვის მიერ აღმოჩენილ იქნა წვეტიანი შეიარაღება, რომელიც მანავიდან „შავი ზვრელებით“ იგზავნებოდა რუსეთში.

წვეტიანი იარაღი, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს ჩურჩხელას და შესაძლებელია, მოწადინებულმა ადამიანმა ჩურჩხელადაც კი გამოიყენოს (გაჭირვებისას პალსტუხის ნაცვლად დაღეჭოს), მაგრამ მისი ღირსება მაინც წვეტიანი - ატაკე თვალში მოწინააღმდეგეს და ეგ არი, მისდღეში ვეღარაფერს იხილავს.

თემა ნამდვილად არ არის სასაცილო.

სასაცილოა მხოლოდ ის, რომ სისხლისმთქვერთვით სეპეები ნაქარალ, ნაქორალ, გაგლევილ, გამოგლევილ საქართველოს გარშემო უვლიან და ათასნაირ სისაძაგლეს უგონებენ!

ახლა კიდევ იარაღი, ნივთებიო, კონტრაბანდო!

ფები ბიძინა ივანიშვილმა „დააპაშოლა“!

აქ არაფერი გამოუვიდათ! არც არაფერი გამოუვათ!

ახლა უკრაინაში თამაშობენ „სახელმწიფოებრიობას“ და თან აქვთ გვერჩიან - ომისა და არნახული უბედურების გამოყენება ისევ სათავიანთოდ უნდათ!

სამწუხაროდ, საქართველოს საწინააღმდეგო ავანტიურაში შელენსკი და მისი გარემოცვა სრულად ჰყავთ ჩათრეული, ძალიან ბევრ ძონძს აქვს „ნაციონალების“ ყულფში თავი გაყოფილი!

ეს ბინძური თამაში არ დაუმთავრდებათ პროვოკატორებს კარგად დღეს თუ ხვალ ომი დასრულდება და ყველა მოდლაატეს

უწოდებს უკრაინულ მხარეს, დაუყოვნებლივ დადოს ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები სამართლებრივი რეაგირების მიზნით:

„შევახსენებთ უკრაინულ მხარეს, რომ ასეთი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა არაერთი სახელმწიფოთათმორისი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ გაეროცხლებული განცხადება წინასწარგანზრახული დეზინფორმაციაა, წარმოადგენს უკიდურესად არამეგობრულ და პროვოკაციულ ნაბიჯს და მიზნად ისახავს საქართველოში შიდა არეულობის პროვოცირებას, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ,



პირო, გადლი!

საეცოპერასია „ჩურჩხელა“

ემსახურება მხოლოდ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალების ინტერესებს“.

როგორც ხედავთ, საქართველოს ხელისუფლებამ მკაცრი პოზიცია დაიკავა და იქით შეუტია კიდევაც, მაგრამ ისინი რომ არაფრის წარმოდგენები არ არიან, ყველამ ვიცით. პირიქით, მტკიცებულებების წარდგენას იქით გვთხოვენ. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა, უკრაინა საქართველოსგან ელის მტკიცებულებებს, რომ სანქციების გვერდის ავლით არ ეხმარება რუსეთსო.

არა მხოლოდ კულება, უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული ავანტიურისტების ჯგუფი ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე გვერდების იოზეფ გებელსის დოქტრინის მიხედვით, ლამის ყოველდღე გვიყენებენ გაუგონარ ბრალდებებს და შემდეგ აქვთ გვიწევს კაი ხანს თავის მართლება!

საქმე ისე მიდის, ესენი მალე იოზეფის რეკორდებსაც გააუმაჯობებენ!

ქართველ ხალხს უკვე ყელში აქვს ამოსული უსაფუძვლო პრეტენზიები!

ახლა კიდევ აქვთ გვაწვებიან, მტკიცებულებები წარმოგიდგინეთ, რუსებს რომ არ ეხმარებითო. კი, მაგრამ ძალიანაც რომ გვინდოდეს, ასეთი მტკიცებულებები რანაირად უნდა წარადგინოთ?!

მე არ ვარ სამხედრო ექსპერტი, არც საზღვრების სპეციალისტი...



ვატაროთ და ვისგან? თუ რუსეთს რამე ისეთი სჭირდება, ყველა მხრიდან იარაღის მწარმოებელი მეზობლები ჰყავს. ჯერ ერთი, საკუთარი იარაღი თავზესაყრელი აქვს და მეორეც - თუ რამის შეტანა-გატანა უნდა, ისე შეიტანს და გაიტანს, ვერავინ ვერაფერს მიხვდება!

მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ბინძური კამპანია წამოწყებულია კონკრეტულად ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. „ნაცებს“ ძალიან უნდათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მონგრევა, ამას ვერ ახერხებენ და ვერც მოახერხებენ, სანამ მთავრობის მეთაური იქნება ღარიბაშვილი. ამიტომაც მიდის მიდის გაუგონარი შეტევა არა მხოლოდ შიგნიდან, გარედანაც.

რამდენიმე დღის წინ გიგა ბოკერიას ძან აწვევტილმა კენინამ ირაკლი ღარიბაშვილზე თქვა, ლაჩარი, უძარღვო და უთავმოყვარეოაო. თან შეკითხვაც დასვა, ეგეთი როგორ უნდა გაჩნდეთ?!

წარმოგიდგინათ? ამ „ნეფზვის“ ცოლი და მისნაირები პრემიერს ამუნათებენ, შშვილობას რათ იცავ, უკრაინაზე რატომ თქვი, დაისაჯაო (გეგონება არ დაისაჯა!), ეგეთი ლპარაკს რანაირად ბედავო?!

ღარიბაშვილის ნათქვამი მიჭრეს, მოჭრეს, შეამოკლეს, აზრი დაუკარგეს და თავიანთ კრეტინ მომხრეებს გულებს უოხებენ!

არა, ამ კედელ-კედელ მოსიარულე ეშმაკის გვერდით მწოლიარე ყვავი ირაკლიზე რომ იტყვის, ლაჩარი, უძარღვო და უთავმოყვარეოაო, რატომ ღმერთი არ გაიცინებებს?

აღბათ იცინის კიდევაც. ამ ქვეყანას ბედი ჰქონია, რომ ომიანობის პერიოდში ასეთი პრემიერი შეესწრო. მის ადგილას ზოგი გადადგებოდა (მელიას დაპატიმრებაზე რომ ჩაისვარეს), ზოგი გაიპარებოდა, ზოგი კიდევ ცეცხლის წვიმას მოგვივლენდა ბითუმად (2008-ში რომ მოგვივლინეს).

ჩერგოლეიშვილმა, გიგას კენინამ, ღარიბაშვილი ლაჩარიო... სამაგიეროდ, ჩემი ქმარი კიდენა იგეთი მამაცი „ნეფზვია“, რო დაგარტყამთ, ამერიკაში გაგაფრენთო!

ეშმაკის მოციქულებს ყურადღება არ მიაქციოთ, პრემიერო, თქვენს უკან საქართველოა!

გელა ზამელაშვილი
555 48 48 61



რა იარაღი, რა ნივთები, რა კონტრაბანდა, თქვე წარაკუებო?!

საქართველოში ძებნილი ვინმე ლორთქიფანიძე დაზვერვის „უმფროსად“ დასვეს!

საქართველოში ძებნილ-მისჯილი ადვიშვილი ჰაავის ტრიბუნალის პროკურორს ცხვირწინ დაუსკუპეს!

ვინმე არახამია მოლაპარაკებებზე დაუდით, რომელიც უახლოეს ხანში საკუთარი ნატოს შექმნას აპირებს!

დამიჯვრეთ, საკუთარი ნატოს შექმნის იდეა ვანო მერაბიშვილისა იქნება... მან შს მინისტრობისას სააკაშვილს უთხრა, ჩვენ მსოფლიოში პატივს კი გვცემენ, მაგრამ ანგარიშს არ გვიწვევენ, უთუოდ რაღაცა უნდა მოვიმოქმედოთო.

შენ აქ ხელცარიელი არ მოხვიდოდი, აღბათ საინტერესო იდეა მამიტანეთ, - მიუგო სააკაშვილმა და ერთი გემრიელად დაამთქნარა.

ჩვენაო, - განაგრძო ვანომ, - ერთი ცალი ატომური ბომბი უნდა ვიყიდოთ და სადმე გამოსაჩენად გიგანაზე დაგვლოთო. დღეს ვისაც ეგეთი ბომბები აქვს, ანგარიშს მხოლოდ იმას უწვევენო.

ვააა, მაგარი იდეაა, მაგრამ შეიძლება არ მოგვივიდონო... მოდი, საფრანგეთში ტრიუმფალური თაღი როა, ეგეთი ავაშენოთ, ოღონდ უფრო დიდო, - უთხრა სააკაშვილმა.

ტრიუმფალური თაღი მაგარია, უფრო მეტად დაგვაფასებენ... თუმცა ანგარიშს მაინც არ გავცივწვენ, არა მგონია, ჩვენი შეეშინდეთო, - აიჩქრა ვიწრო მხრები ვანომ.

ველარ მოასწრეს, ეს ავადმყო-

აუცილებლად მოეთხოვება პასუხი!!!

რა პრეტენზია აქვს უკრაინის ე.წ. დაზვერვას საქართველოსთან?

უკრაინის ვიცე-პრემიერი და ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის მინისტრი, ირინა ვერეშჩუკი აცხადებს, რომ არ აქვს მიზნები, არ დაუჯეროს უკრაინული დაზვერვის ცნობას, რომლის თანახმადაც, რუსები კონტრაბანდული პროდუქციის გადასატანად იყენებენ საქართველოს ტერიტორიას. ვერეშჩუკის თქმით, აქ საუბარი არ არის მკარონსა და წიწიბურაზე, აქ საუბარია საომარ ტექნიკაზე:

„ვერ ვიჯერებ, რომ თქვენ, ქართველები, ჩვენი დები და ძმები საშუალებას მისცემთ, რომ კონტრაბანდული არხებით გადოდეს იარაღი, რომელიც კლავს ჩვენს ქალებსა და შვილებს. ნუთუ ეს შესაძლებელია? ჰკითხეთ ეს თქვენს თავს, როგორ მოხდა, რატომ მოხდა ასე, რა გააკეთეთ ჩვენ“?!

ხედავთ, როგორი შემოთვებული და „დამაჯერებელი“ ტონი აქვს ქალბატონ მინისტრს? აქ საუბარი არ არის წიწიბურასა და მკარონზე, აქ საუბარია საომარ ტექნიკაზე!

კი, მაგრამ რომელ საომარ ტექნიკაზე? სად, კონკრეტულად რომელი ტერიტორიის გავლით გადააქვთ რუსეთში კონტრაბანდული ტვირთი? ეს არის სრული სიცრუე, „ნაციონალების“ მოგონილი!

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მო-

სიპართლე, როგორც დადგენასა 18 წელიწადი დასჭირდა



დღეს „ნაციონალებს“ რომ ჰკითხო, მათზე ჰუმანური და სამართლიანი აქამდე არც ერთი ხელისუფლება არ ყოფილა. თუმცა, 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ნაციონალების“ რევანშისტული და მოძალადე რეჟიმი შეიცვალა, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიების დეპარტამენტი. დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად ცნობილი იქნა 443 პირი, რომელთაგან 315 მოქალაქისთვის, პროკურატურის შემავალი გადამწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაბრუნდა ან დაბრუნების პროცესშია, დაახლოებით, 59 610 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. ამას გარდა, ბოლო ხანებში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, დეპარტამენტმა სასამართლოს 112 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა. სასამართლოს გადაწყვეტილებით 90 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი.

2004 წელს პოლიციის გენერალი მასილ ლაპითიას გასამართლებული იქნა სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით. განაჩენში მითითებული იყო: მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით კი დადასტურდა, რომ ვასილ დავითაიას მიმართ გამოძიება წარმართა ტენდენციურად და არ მომხდარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად გამოირიცხა ვასილ დავითაიას მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ჩვენ შევხვდით ბატონ მასილ ლაპითიას და ვთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს.

ჰქონდა. ჩვენ ბინაც გვქონდა სოხუმში და სახლიც. მოკლედ, დეკლარაციაში სამი ისეთი ობიექტი დავასახელე, რომლის ფასსაც ლარებში, დახლოებით, 800 000 ლარს გადააჭარბა. ქონების ნუსხას თბილისში არსებული ბინაც დაემატა. ქონების მისამართებიც მივუთითე, თუმცა მისამართებს არავინ შეხედა, არავის გაუთვალისწინებია, რომ ამ ქონების 80% აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო რეგისტრირებული. ყველაფერი დააჯამეს და მილიონერად გამოამაცხადეს — შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიონერი ჩინოვნიკი ვასილ დავითაია, რომელმაც თანაშრომლებს არ მისცა ხელფასები, ფული „შეჭამა“. ასე უარყოფითად გააპიარეს ჩემი სახელი და გვარი.

ვუყურებდი და ვუსმენდი ჩემზე უამრავ გაუგონარ ტყუილს და მონაჭორს, მაგრამ ესაა ტელევიზიის „უფლება“, ლაპარაკობენ შენზე და შენ არ შეგიძლია პასუხი გასცე. ხალხში რომ გამოხვიდე და რაც გინდა თავი იმართლო, უკვე ნათქვამია, ხოლო ეჭვი — დათესილი.

— ბატონო ვასილ, თქვენ საქართველოში ბევრი გიცნობთ, მაგრამ, მოდი, ხელახლა შევახსენოთ საზოგადოებას ყველაფერი და თქვენი ნებართვით, თავიდან დავიწყოთ. რამდენი და რატომ მოგიხაჯეს?

ჩვენზე განსაკუთრებული თვალთვალი მიმდინარეობდა.

საკავშირეო სამსახურში ვიყავი, სააკაშვილი სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, როგორც იცით, იყო საკრებულოს თავმჯდომარე და პარტია „ნაციონალების“ თავმჯდომარე. როგორც კი პარტია დააფუძნეს და მედიით გააპიარეს, იქვე თქვეს: ჩვენ დავიწყეთ წმინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, გაუათავისუფლეთ შს მინისტრი კახა თარგამაძე და ახლა მის სხვა კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს უნდა მივხედოთ. ერთ-ერთ ასეთ „კორუმპირებულად“ მე მიმიჩნევდნენ.

ციალური სიაც ჰქონდა, სადაც ყველა გუბერნატორი და ყველა გამგებელი იყო მოხვედრილი. სამსახურიდან რომ წავედი, მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ეს ახალგაზრდები ჩემი სამსახურის საბუთებში არასახარბიელოდ იქექებოდნენ, მაგრამ არ ვნერვიულობდი, რადგან ვიცოდი, ყველაფერი სწორად და კანონის დაცვით მქონდა გაკეთებული.

— მაგრამ მილიონერთა სიაში რომ იყავით?

— ახალგაზრდა რეფორმატორებმა რომ წამოსწიეს დეკლარაციის თემა, ეს იყო სპეციალურად შემოგდებული, რათა ძველი თანამდებობის პირებისთვის ჩირქი მოეცხობო. ბინა და სახლი მაშინ ყველას ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ რატომღაც ხშირად ისმებოდა კითხვა: საიდან მოიტანეს, მაგალითად, ბინა. ამას ჩააგდეს ხელი „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ და შემოიღეს ე.წ. ქონების დეკლარირებები.

მე მთელი ცხოვრება ვმუშაობდი, ეროვნული ხელისუფლების დროსაც, შევარდნაძის პერიოდშიც, „მოქალაქეთა კავშირის“ დროსაც, ვაკეთებდი ჩემს საქმეს და მაქსიმალურად შევეცადე, დეკლარაციაში ყველაფერი სიზუსტით აღმეწიხსნა, ყველა ქონება, რაც კი ირიცხებოდა ჩემს სახელზე და ჩემი ოჯახის სახელზე. აფხაზეთიდან დევნილი ვართ მეც, ჩემი ოჯახიც და ჩემი მშობლებიც. 1993 წელს აფხაზეთიდან რომ გამოგდევნეს, ჩემი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ის ქონება, რაც მე და ჩემს ოჯახს გვქონდა აფხაზეთში, ჩვენი არ იყოს, ეს ყველაფერი იყო და დარჩა ჩვენი ოჯახის საკუთრებად, რადგან აფხაზეთი დღემდე საქართველოს ტერიტორიად არის საყოველთაოდ დეკლარირებული. კიდევაც ჩავწერე დეკლარაციაში, რომ აფხაზეთში მამაჩემს ავარაკი

— მოგეხსენებათ, 1995 წლიდან 2002 წლამდე გახლდით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2002 წელს ჩემი ნებით გადავიქეი თანამდებობიდან.

2003 წელს, როცა ხელისუფლებაში მოვიდა „რევოლუციური“ ძალა, დაიწყო ე.წ. ძველი საქმეების ამოქექვა.

— ძველ საქმეებში რა იგულისხმებოდა?

— ძველი თანამდებობის პირების „საქმეები“, ანუ ვინც მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის გუნდის წევრებად მოვიანებოდით და შესაბამისად, შევარდნაძის მთავრობის წევრებად ვითვლებოდით,

— რამდენადაც ვიცი, თქვენ, „ნაციონალების“ მასინდელმა ახალგაზრდულმა ფრთამ, მაშინდელმა ოპოზიციონერებმა, მილიონერ ქართველ ჩინოვნიკთა სიაში შეგიყვანეს და ქონების, ასე ვთქვათ, რევოლუციური კონფისკაციის მიზნით დაგადგეს თვალთ.

— ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, სწორედ ეს ჰქონდათ ჩაფიქრებული. გიგა ბოკერიას სპე-



რამდენიმე ჟურნალისტს ვითხოვე მაშინ ჩემს შესახებ ვისაუბრებ-მეთქი, მოვიდნენ, ჩაიწერეს, მაგრამ არ დაბეჭდილა. „რეფორმატორები“ აკონტროლებდნენ უკვე მედიასიტყვას და იქ ჩემი სიმართლის ადგილი უკვე აღარ მოიძებნებოდა.

იმ პერიოდში სასამართლოშიც ვიჩვილეთ. ცხადია, გამამართლეს, მაგრამ ტელევიზიებში გეპასუხოვდნენ: ჟურნალისტურ სტანდარტებს ნუ არღვევთ, ჩვენ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდეს, ჩვენი აზრით, ვასილ დავითაია დასაჭერია, დანარჩენი ჩვენ არ გვეხება.

2004 წლის 26 ივლისს გენერალური პროკურორის ადგიშვილის პირველმა მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ გამოიტანა დადგენილება ჩემზე აღძრულიყო სს საქმე.

— ბატონო ვასილ, თქვენ ერთ-ერთ ბრალდებულ პოლიციელებისთვის ხელფასების გაუცემლობა გეძებოდათ, ანუ ფლანგავდნენ ხელფასის ფულს და თანაშრომლებს ანაზღაურების გარეშე ტოვებდნენ.

— მაგრამ ბრალდებაში ხელფასები არსად არ არის ნახსენები. რევიზიის აქტში წერია, რომ პოლიციელებს ხელფასებს ვამლევდით დაგვიანებით. საქმე კი ასე იყო: ფინანსთა სამინისტრო წლიურ ბიუჯეტს რომ დამიმტკიცებდა, ვთქვათ, 50 მლნ-ს, გვამლევდა 30 ან 35 მლნ-ს. ბიუჯეტი არ ივსებოდა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს ხელფასებზე თანხა აკლდებოდა. სამსახურიდან რომ წავედი, ხუთი თვის გაუცემელი ხელფასები დავტოვე.

— მაგრამ თანხებს როგორ ანაწილებდით, თუ 50 მლნ იყო საჭირო, 35 მლნ-დან მხოლოდ ადმინისტრაციას აკმაყოფილებდით?

— როგორ გეკადრებათ. ხელფასი თუ ვინმეს დააკლდებოდა,

ამბავი რეალური და ირეალური „ხუნას“ შესახებ

გია ხუნაშვილს საგანგებო წარდგენა არ სჭირდება, ყველამ იცით, რომ ეს ადამიანი არის ყველაფრისტი, ყველაფრის მცოდნე. არა, ყველაფრისტობას თვითონ იჩემებს, თორემ საზოგადოება მშვენივრად ხვდება, რა ბედოვლატიც ბრძანდება - სინამდვილეში ერთი გაქნილი აფერისტი.

ქართულ სინამდვილეში არსებობს „ხუნას“ ორი სახეობა - მოჩვენებითი და ნამდვილი. მოდით, სანამ მოჩვენებით „ხუნაზე“ მოგახსენებთ, ნამდვილზე, ანუ ნატურალურზე დავილაპარაკოთ. დავილაპარაკოთ რა, ერთი ადამიანის მონაყოლი უნდა შემოგთავაზოთ, რომელსაც მასთან „უნიკალური“ ურთიერთობის გამოცდილება აქვს. ეს გახლავთ მირიან ყარაულაშვილი, შევარდნაძის მმართველობის დასასრულს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

„2003 წლის ზაფხული. სულ ერთი თვის დანიშნული ვარ საქართველოს საბაჟო დე-

სა და რეალურად, სამრეწველო შპიონაჟის გამო!

ასოციაციაში მისი როლი, როგორც წესი, ის იყო რომ ნავთობპროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე ბენზინის გაძვირებისას სხვადასხვა მოტივით ამართლებდა ხოლმე ამ პროცესს პრესისა და ტელევიზია-რადიოს მაშინდელი რესურსების 100%-ში. როგორ ახერხებდა ამას ხუნაშვილი, ალბათ, დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება.

შემოვიდა, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, დაჯდა, მომილოცა, ამინდზე ორი სიტყვა თქვა, კონდიციონერის არარსებობა გააპროტესტა, ცოტა დამცინა კიდევ, ამ სიტყვაში რომ ვიჯექი მის გარეშე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საუბრის დაწყებიდან მეხუთე-მეშვიდე წუთზე მეუბნება:

- თქვენ ეხლა მუშაობთ საქართველოს ერთ-ერთ სახელგატეხილ ორგანიზაციაში, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ქვეყნის ყველაზე კორუმ-

ბიზნისის და ბიზნესმენების მხრიდან... მომეცით თვეში ხუთი ათასი დოლარი და თქვენს შესახებ პრესა და ტელევიზია-რადიო მხოლოდ დადებითს ილაპარაკებს და უფრო მეტიც - რასაც თქვენ ისურვებთ, იმას იტყვის. ეს ჩემი პროფესიაა და მე კი ამ საქმის პროფესიონალი ვარ!

წარმოვიდგინე ეს თანხა, წარმოვიდგინე ჩემი ლანძღვა-გინება პრესასა და ტელევიზიაში, მერე ჩვენი ქება-დიდება და უფრო ცუდ ხასიათზე დავდექი ...

თვეში ათასი დოლარი მომეცი და რაც ხართ, ზუსტად მხოლოდ იმას ვალაპარაკებ პრესას, ტელევიზიას და ჩვენს, საბაჟო დეპარტამენტის პრეს-სამსახურს მეთქი!!!

არ გამომიგდია ოთახიდან, მაგრამ არც ზედ გადავყოლივარ, მაშინვე წავიდა ჩუმი ლანძღვა-გინებით. ზუსტად ერთ კვირაში რომელიღაც არხზე მაშინდელი ოპოზიციის მთავარ ლიდერს, ზურაბ ჟვანიას ადიდებდა და ცაში აპყავდა. ვერ მოასწრო ჩვენზე ამ უარისთვის შუარისძიება - სამ თვეში ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ორივემ დაეტოვეთ თანამდებობები - მეც და დათომაც, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ კრიმინალ ბურჯანაძის ხელმძღვანელობით მუშაობაზე უარი ვთქვით საჯაროდ.

ჟვანიას პრემიერ-მინისტრად დანიშნისთანავე დაიწყო ხუნაშვილმა მისი და ახალი ხელისუფლების ქება-დიდება პრესა-ტელევიზიით... რკინიგზის დეპარტამენტის სამეთვალყურეო საბჭოშიც თავმჯდომარედ გაამწესა ჟვანიამ, თუმცა მალევე ისევ მისმა განმწესებლებმა ცემა-ტყეპით გამოაგდეს რკინიგზიდან და რამდენიმე თვე დამტკრეულ ნეკნებს იშუშებდა.

ჟვანიას ტრაგიკულად გარდაცვალების შემდეგ ბადრი პატარკაციშვილთან გადაინაცვლა, დარწმუნებული ვარ, ბადრისთან თვეში ხუთი ათასს არ დასჯერდებოდა!!!

ბადრის გარდაცვალების



შემდეგ სააკაშვილის კეთილგანწყობა მიიღო - კონსულტაციებზე ეჯდა ხოლმე ავლაბრის ახლადამუშენებულ სასახლეში ოპოზიციის სახელით მისული...

ბიძინა ივანიშვილთანაც ზუსტად იმ დროს გაჩნდა, როცა საჭირო იყო. გაჩნდა და მიიღო მისაღები, დარწმუნებული ვარ... ამის შემდეგ როგორც „მოღვაწეობს“, კი ხედავს საზოგადოება, თუ ბრმა და ყრუ არ არის“.

ძალზედ ნამდვილი აღწერილობაა ხუნაშვილისა, ეს ტიპი ამნაირი აფერისტობით ცხოვრობს. მოდით, ახლა მოჩვენებით „ხუნაზე“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა: ის ყოველთვის იქ არის, სადაც ფულია, მაგრამ გამოიყურება ხელმოკლედ, უქონლად, პატიოსნად, დედულსა და მამულზე გულატკიებულ „მუჟიკად“. ერთ სატელევიზიო ყუთში რომ მორჩება „მოღვაწეობას“, მეორეში გადადის, მერე მესამეში, მეოთხეში და ასე შემდეგ. მან იცის, როგორ უნდა „იმოღვაწეოს“ პრესასა თუ ელექტრონულ მედიაში. გამოვა, ილაპარაკებს, ადამიანებს დაარწმუნებს (სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ბევრი არიფია), გვეჩვენება ეკონომიკაც ესმის, პოლიტიკაც, მედიცინაც, ავიაციაც, სამხედრო სფეროც, სოფლის

მეურნეობაც... არ არსებობს სფერო, მაგას სიღრმისეულად არ ესმოდეს. გარეგნული იერი აქვს ძალზედ მცოდნე კაცისა. სხვათა შორის, ესეც ნიჭია, ფულიანი ადამიანების შებმა შეუძლია ძან იოლად. რაკი „ჭკვიანის“ სახელი აქვს გავარდნილი, ფულიანებიც ტყუვდებიან. კი, ისინი მალე ხვდებიან, რომ რესპუბლიკური მასშტაბის აფერისტთან აქვთ საქმე, მაგრამ სანამ მიხვედრილობა დაეხვეწებათ და გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ეს „თავისას“ იღებს, ქონებას აგროვებს.

ბატონი „ხუნა“ არასდროს ისვენებს, ის ყოველთვის ალაგებს სიტუაციას სათავისოდ, თავისებურად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. ახლაც „იღვვის“, უფრო პრემიერ-მინისტრზეა „აკრეფილი“, როგორც ჩანს, მისგან ვერაფერი მიიღო.

„ხუნას“ შეგონებანი: „ეკონომიკურთან ერთად ზნეობრივად, მორალურად, ემოციურად, კულტურულად და პოლიტიკურადაც გავდარიბდით... პრემიერიც შესაბამისი გვარის გვყავს“.

ჯერ ერთი, გვარი რა შუაშია? მოძებნა ვითომ საღადაო. გვეჩვენა თვითონ ეგვიპტის ფარაონ ენკაურას შთამომავალია. ამაზე იტყვიან ხოლმე, „დავია, ნა ხუი“-ო!

ეკონომიკურთან ერთად ზნეობრივად და მორალურადაც გავდარიბდით... უუუფ, ნეტავ როდის იყო ზნეობრივად და მორალურად მდიდარი? სასაცილოა პირდაპირ! ან კი როდის კულტურულად და პოლიტიკურად მდიდარი? უი, ეკონომიკურადაც... როგორც ჩანს, ყველამ გაიგო მისი ოღრამობის ამბავი და ხელმოკლეობა დაეტყო.

„ხუნა“ ამოუწურავი თემაა, „ხუნაზე“ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ რა ფასი აქვს? არც არანაირი, რაღა დროს „ხუნა“, ბიჯო, რაღა დროს „ხუნაა“?!



პარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ... მდივან-თანაშემწე შემოვიდა და:

- ხუნაშვილი რეკავს ქალაქის ტელეფონზე, თქვენთან შეხვედრას თხოულობს და რა ვუპასუხოვო?..

პირველივე ადამიანი, ამ გვარის გაგონებაზე, ღვაწლმოსილი კაცი, სპორტული კომენტატორი, ბატონი ჯამლექ ხუნაშვილი გამახსენდა... ბევრი არც მიფიქრია - რა თქმა უნდა, მოვიდეს- მეთქი. რაღაც დაგეგმილი შეხვედრაც კი გადავდე.

დადგა დანიშნული დრო და მდივანი ალებს კარს, შემოპყავს ხუნაშვილი, ოღონდ არა ბატონი ჯამლექი, არამედ გია. საშინლად არ მესიამოვნა, უცბად დავიწყე ფიქრი - როგორ მოვახერხო ამისგან სასწრაფოდ განთავისუფლება-თქო... რამოდენიმე თვის გამოგდებული ჰყავდათ ნავთობის დარგის მაშინდელ ექსპორტიორებს ანალოგიური დასახელების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორებიდან მათ საზღვარგარეთელ კონკურენტ „სოკართან“ თანამშრომლობი-

პირებული უწყების ერთ-ერთ ხელმძღვანელად. არც თქვენ და არც დეპარტამენტის თავმჯდომარეს (დავით თარხან-მოურავი იგულისხმა) საზოგადოება არ გიცნობთ, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ძალიან მალე დაიწყება თქვენი კრიტიკა და ლანძღვა-გინება ოპოზიციის, უკმაყოფილო მოქალაქეების, ხელმოცარული



გახვა ხეთანელი

შენ ისევ იქ იქნები...

ომი რომ დამთავრდება,
შენ ისევ იქ იქნები,
სადაც იყავი -
ერთი შევარდნის მორყეულ ბუდეშიც
და
მეორე ქორის შევარდნაზეც
მოჯანყე მატარებელში....
შეხალვათებულ მატარებელში,
რადგან მართალმა მგზავრებმა
ჩამოიქვეითეს
თავიანთ (წუთის) სოფლებთან
და, შენდა გასაკვირად,
მართალნი ისევ მეტნი აღმოჩნდნენ...

მართალნი ისევ იქ იქნებიან,
სადაც მართალნი განისვენებენ,
სადაც ვაჟა დგას ამოდებული ხანჯლით
და სანთლებიან ტაბლახზე
წიწოლებს არ უშვებს...

შენ ისევ ისე იქნები -
ხელებდაბანილი და პირზე
პირბადეაკრული!..

სხვა კი არაფერი იქნება ისევ ისე, -
ჭაბუკების ჯარი ლეთეს წყალს გაივლის,
ღია-ყმაწვილი საზღვარს გადავა...

შენ კი ტლაპოში დაგიდგამენ პიედესტალს,
ახვალ და ძველებურად
წაიკითხავ პროზულ სტრიქონებს
და ძველი პროზები გტყვორცნიან
ვარდისფერ აპლოდისმენტებს
და დაგიქნევენ ვარდისფერ ქათინაურს...

მაგრამ რა ფერისაა ვარდი? -
ვარდი იმფერია, რაც დროს შეჰფერის,

ვარდი იმფერია, რაც მედროვეს ეფერება,
ვარდს ის იფერებს, ვინც იმფერია...

ვარდი გამოდის ქილერის ლულიდან
და ვარდი აბნევა მოკლულის გულს...

ამიტომაც ვარდი შენი ყვაილია
და ვარდოა შენი სახელი,
რადგანაც ვარდო არც კაცია
და არც ქალი,
არც თეთრია და არც შავი,
არც ამისია და არც იმისია...

მისია, ვისაც პური აქვს,
მისია, ვისაც ფული აქვს,
მისია, ვისაც ცული აქვს -
და ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს!..

და... მისია, ვისაც სული არა აქვს,
მისია, ვისაც გული არა აქვს,
მისია, ვისაც რჯული არა აქვს -
და კერპთა უზორავს!..

შენ ისევ იქ იქნები,
სადაც ყოველთვის იყავი,
როცა კი ფარა შემობრუნდა...
მაგრამ მალევე დაიწყებ ფიქრს
ფარის მოქცევაზე,
რომ ჩვეულ პოზ[იცია]ში აღმოჩნდე...


შენ ისევ ის იქნები,
შენ ისევ ისე იქნები,
შენ ისევ იქ იქნები -
ისევ პირველი იქნები
მზორველთა შორის!..

შენ ისევ ის იქნები, რაც იყავი...

რედაქციისგან: ავტორი, მართალია, არ ასახელებს ვინაობას იმ პოეტისა, რომლის მისამართითაც არის დაწერილი ეს ლექსი, თუმცა თუ გავიხსენებთ ამასწინათ გამოქვეყნებულ ბესიკ ხარანაულის ლექსს „ომი რომ მორჩება, ჩვენ სად ვიქნებით“, რომელსაც სანაცეთის დიდი აღტაცება და მოწონება მოჰყვა, ყველაფერი ნათელი ხდება.

როგორი საწყენი და იმავე დროს როგორი სამარცხვინოა, რომ ბესიკ ხარანაული, თავისი ბოლოდროინდელი „შემოქმედებით“, ნაცების კარის პოეტებს შეუერთდა და მათ საამებლად და მათი გულების მოსაგებად აცხობს და აცხობს ახალ-ახალ „შედევრებს“, სამაგიეროდ, არც ნაცები რჩებიან ვალში და ხარანაულს დითირამბებით ავსებენ.

რასაც ხარანაული ლექსებად ასაღებს, იმას ჩვენ საგაზეთო წერილებად ვებეჭდავთ ხოლმე, თუმცა ნაცებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, მათ წისქვილზე დაასხა წყალი და იმწამსვე უდიდეს პოეტად და გენიოსად მოგნათლავენ.



ირაკლი ვაშაყმაძე:

ავსულთა სიმღერა

მიყვარს იუდას ვერცხლი,
არ მიყვარს მაცხოვარი,
ავსული მიყვარს, ისიც,
ავსულთან რაც რომ არის.

არ მიყვარს ქრისტიანი,
წინაპრის რაც რომ არის,
დემოკრატია მიყვარს,
ემშაკის ნაფიცარი.
მე ავხორცობა მიყვარს,
სმა-ჭამა ავხორცული,
ულმერთო, ურჯულო ვარ,
ცოდვის ნერგს ამოსული.

არც ღვთისმშობელი მიყვარს,
არ მიყვარს ქრისტეს ჯვარი,
უშიშარი ვარ ახლა
ღვთის მოძულეთა ჯვართ.

ოჰ, საქართველოვ, შენზე
უნდა ვიყარო ჯავრი...

„ქართული მართლწერის საკითხები“

ახლახან დაიბეჭდა შესანიშნავი წიგნი „ქართული მართლწერის საკითხები“, რომელიც ეკუთვნის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგს, ქალბატონ იზო ბაქრაძეს.

ნაშრომში წარმოდგენილი მართლწერის წესები ძირითადად ემყარება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის

„ს.ბ.“

ნორმების“ პირველ კრებულსა და ბიულეტენებს, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ შემუშავებულ ნორმათა პროექტებსა და რეკომენდაციებს. აგრეთვე ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ენათმეცნიერულ ნაშრომებს.

წიგნი „ქართული მართლწერის საკითხები“ მნიშვნელოვანი შენაძენია, როგორც ქართველებისთვის, ისე ქართული ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევარებისთვის და თავად ქართული ენის უფრო ღრმად შემსწავლელთათვის.

გამოცემის რედაქტორები: ფილოლოგიურ მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი ვახტანგ მაღრაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯაგოღანიშვილი, კორექტორი — მარიამ ოვაშვილი, ოპერატორი — თამარ ქორიძე, დამკაბადონებელი — დავით დაუშვილი.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონ იზო ბაქრაძეს ამ შესანიშნავი კრებულის გამოცემისთვის.

წიგნის შეძენის მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 595 24 47 78.



გაზეთი „ნიუ-იორკ თაიზის“ გამოქვეყნა აშშ-ის საჰაერო ძალების თავდასხმების შედეგად დაღუპულთა შესახებ

პენტაგონი და ამერიკელი სამხედროები რეგულარულად ამცირებენ მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობას, რომლებიც ავღანეთში, ერაყსა და სირიაში საჰაერო დაბომბვების დროს დაიღუპნენ.

გაზეთმა „The New York Times“-მა გამოაქვეყნა გამოძიების მასალები, სადაც საუბარი იყო იმ მრავალრიცხოვანი შეცდომების შესახებ, რომლებიც საჰაერო ოპერაციების დროს ავღანეთში, ერაყსა და სირიაში ამერიკელმა სამხედროებმა დაუშვეს. ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილის

ზეთის გამოძიების შედეგად გახდა ცნობილი. პენტაგონში აღიარეს, რომ „ტრაგიკული შეცდომა“ მოხდა და პირობა დადეს, რომ მომხდარის შესახებ ყველაფერს გაარკვევენ.

„ღრმა მწუხარებას ვუცხადებ დაღუპულთა ახლობლებსა და ოჯახის წევრებს“, — განაცხადა პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალმა კენეტ მაკენზი-უმცროსმა, აშშ-ის ცენტრალური შტაბის მეთაურმა.

„New York Times“-ის ჟურნალისტებმა განაგრძეს მსგავსი

არმიის ცნობით, ერაყსა და სირიაში ტერორისტების მიმართ განხორციელებული ავიაშეტევების შედეგად დაახლოებით 1,5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, 2018 წლიდან ავღანეთში განხორციელებულ საჰაერო თავდასხმებს 188 მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა.

„New York Times“-ის ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ორივე შემთხვევაში დაღუპულთა რაოდენობა ბევრად მეტია. გამოცემამ ჯერ ვერ დაადგინა, რამდენად მაღალია რეალურ მსხვერპლთა რიცხვი, მაგრამ გაზეთის ცნობით, აქ ლაპარაკია ასეულობით ადამიანის სიცოცხლეზე. სხვაობა ყოველი საჰაერო ოპერაციის დროს აშკარაა.

ერთ-ერთი მაგალითი 2016 წელს სირიის სოფელ ტოხარის საჰაერო დაბომბვაა. მაშინ ამერიკულმა საჰაერო ძალებმა დარტყმა ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცების თავშესაფარზე განხორციელეს. სინამდვილეში, აღმოჩნდა, რომ მსხვერპლთა შორის დაახლოებით 24 მშვიდობიანი მოქალაქე იყო. ჟურნალისტების ცნობით, მათი რიცხვი მინიმუმ 120 ადამიანი იყო.

სამხედრო სარბმბელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უდანაშაულო მსხვერპლი.

გაზეთის ცნობით, ამერიკელი სამხედროები რეგულარულად უგულებელყოფენ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს. სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელიც განსაზღვრავს და პასუხს აგებს მიზნის მირწევაზე, მხოლოდ რამდენჯერმე



და სამხედრო სარგებელი თანაბარია“, — წერს გამოცემა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ზშირად სამხედროები სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ ინტერპრეტირებას ახდენენ, ე. ი. მათი მოსალოდნელი ქმედებები წინასწარვე გამართლებული.

მაგალითად, თუ აფეთქების ადგილას ადამიანების თავშეფარა აღინიშნებოდა, სამხედროები მიიჩნევენ, რომ ეს ისლამისტი-მებრძოლები იყვნენ და არა მოხალისე-მაშველები. ჩვეულებრივი მძღოლები სამხედროების ანგარიშებში „შეტევაზე გადასასვლელად მომზადებულ მოტოციკლეტისტებად“ შეიძლება გადაქცეულიყვნენ.

დაახლოებით იმავე პერიოდში აშშ-ში დაიწყო ერაყსა და სირიაში იმ სამხედრო შენაერთების მხარდაჭერა, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ იბრძოდნენ. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კი ამერიკის ჯარებმა ავღანეთში, ერაყსა და სირიაში 50 ათასზე მეტი საჰაერო შეტევა განხორციელეს.

აფეთქებას საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით გამოწვეული აფეთქებები მოჰყვებოდა. როგორც გაზეთი იუწყება, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მშვიდობიანი მოსახლეობის შორის ოფიციალურად აღიარებული მსხვერპლის ერთი მესამედი. ჟურნალისტების მუშაობის შედეგად კი მათი რიცხვი ზუსტად დაღუპულთა ნახევარს შეადგენს.

მაღალი სიზუსტის ოპერაციები ყოველთვის მაღალი სიზუსტის არ არის. კიდევ ერთ მიზეზად, რის გამოც საჰაერო თავდასხმების შედეგად ბევრი სამოქალაქო პირი იღუპებოდა, გაზეთი მიზნის დაუზუსტებლობას ასახელებს. ესე იგი, სამხედროები აფეთქებდნენ მიზანს, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ეს სწორედ საჭირო ობიექტია. ზშირად ეს დაბალი ხარისხის სადაზვერვო მასალის ბრალი იყო.

აშშ-ის ცენტრალური სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლის, კაპიტან ბილ ურბანის თქმით, „მსოფლიოში საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენების დროსაც შესაძლებელია ცდომილება, რაც არასრული ინფორმაციის ან არსებული ცნობების არასწორი გაგების ბრალია. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ შეცდომები“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ უდანაშაულო მსხვერპლი დაუდევრად დაგვემდინო სამხედრო ოპერაციების გამო რეგულარულ მოვლენად იქცა.

„დიდი სიზუსტის იარაღის გამოყენებით განხორციელებული სამხედრო კამპანიების დროსაც კი შეუძლებელია უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან აცილება. მაგრამ მანამდე, ვიდრე დარტყმას განხორციელებენ, სამხედროებმა უნდა შეადგინონ დაწვრილებითი ოქმები მშვიდობიანი მოსახლეობაში დანაკარგის თავიდან აცილების შესახებ“, — აღნიშნავს „ნიუ-იორკ თაიზისი“.

ბელა გველდისიანი 568 90 81 22



მიზეზი დაზვერვის მიერ მოპოვებული არასწორი ინფორმაცია და მიზნის შერჩევის დროს დაშვებული შეცდომები გახდა.

გთავაზობთ გაზეთის მიერ მოპოვებული გამოძიების მასალებს.

შეცდომა კი არაა განუხრავი მიმართა. ქაბულის აეროპორტზე თვითმკვლელი ტერორისტების ერთ-ერთი თავდასხმის შემდეგ ამერიკელმა სამხედროებმა ცნობა გაავრცელეს, რომ კიდევ ერთი შეტევის თავიდან აცილება შეძლებს. მათი განცხადებით, მათ ჰპერიდან წერტილოვანი დარტყმა განხორციელეს ტერორისტზე, რომელიც აეროპორტისკენ დანადგომული მანქანით მიემართებოდა.

თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ ქაბულში მოკლული 43 წლის ზემარი აჰმადი ტერორისტი კი არა, ამერიკულ არაკომერციულ ორგანიზაციაში მომუშავე ინჟინერი იყო. აფეთქებისას, აჰმადის გარდა, კიდევ ათი ადამიანი დაუღუპა, მათ შორის, შვიდი ბავშვი. ინციდენტის დეტალები შესახებ მხოლოდ გა-

შემთხვევების შესწავლა და აღმოჩინეს, რომ ეს შემთხვევა კი არა, გარკვეული კანონზომიერება იყო.

გამოცემამ პენტაგონის არქივების 1,3 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი შეისწავლა, რომლებშიც ინახება სამხედრო ცნობების კონფიდენციალური შეფასებები მშვიდობიანი მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალისტებმა პირადად მონახულეს 100 ადგილი მაინც, რომლებზეც აშშ-მ ავიადარტყმები განხორციელა, გამოკითხეს ადგილობრივი მაცხოვრებლები და ყოფილი ამერიკელი ჩინოვნიკები.

მსხვერპლთა რაოდენობა ოფიციალური ციფრებისგან განსხვავდება.

როგორც გამოძიების შედეგებმა უჩვენა, ამერიკელი სამხედროები, მინიმუმ 2014 წლიდან (სწორედ ამ დროიდან იწყება დოსიების შესწავლა) რეგულარულად მალავენ ავღანეთში, ერაყსა და სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობაში მსხვერპლთა რაოდენობას.



აღიარა შეცდომა და ამ შემთხვევებშიც კი ამას არავითარი დისციპლინური ან სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია.

ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ არმიაში არ ცდილობენ ამგვარი ინციდენტების გამოაშკარავებას და აღმოფხვრას. თავდასხმების შედეგებს ის ადამიანები იძიებენ, ვინც თავად არჩევს მიზანს.

„სამხედროების ლოგიკით, დარტყმა გამართლებულია, თუ მშვიდობიანი მოსახლეობის რისკი

სამხედრო მოქმედებების გაძლიერებასთან ერთად იმატა იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებსაც საჰაერო დარტყმის მიყენების უფლებამოსილება ჰქონდათ. რამაც გამოიწვია გადაწყვეტილებებს უფრო სწრაფად მიღება, და, შედეგად, მეტი შეცდომა.

ზოგჯერ დაზიანების რადიუსი დაგვემდინო ძლიერი იყო. მაგალითად, როცა მიზანი სამხედრო საწყობები იყო, სადაც ასაფეთქებელი მასალა ინახებოდა, ძირითად

ვანსავლი გიტარაზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველს ბინაზე მისვლით.
რამაზი ტელ.: 599 385 796.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვანსავლი გიტარა**
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანაშვილი, ვია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველდისიანი, მთვარისა კვეციანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს
„ელვა-ჯი“-ს მშვიდობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გაზეთის მხარდასაჭერი მასალის გამოქვეყნებისათვის ერთი კვირის ვალაში. გამოცემის მასალაზე ავტორებს არ უარუნდება.
© ამ ნომერი აღიწერა საერთაშორისო მასშტაბით.
ინჟინერ შპს „საგვალ-დასავალი“ სტამბაში. აგლავის 39. ტელ.: 234-39-99